


პროტესტის „კრიმინალიზაცია“ საქართველოში

არაუფექტიანი სასამართლო კონსტრუქციული ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის საქმეებზე



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

პროტესტის „კრიმინალიზება“ საქართველოში

არაეფექტიანი სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული
სამართალდარღვევის საქმეებზე

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2025



Kingdom of the Netherlands



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის, „კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში მონიტორინგის, კვლევისა და განათლების გზით“ ფარგლებში, რომელსაც სოციალური სამართლიანობის ცენტრი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

კვლევაზე პასუხისმგებელი პირები: სალომე შუბლაძე, ანა პაპუაშვილი, მარიამ პატარიძე

მკვლევარი: თამარ ფაჩულია

კვლევის ასისტენტი: მარიამ ჩიქოვანი

ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თამარ ფაჩულია, „პროტესტის „კრიმინალიზება“ საქართველოში - არაეფექტიანი სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე“, 2025.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი	6
1. ადმინისტრაციული კანონმდებლობის ხარვეზები.....	8
1.1. ასკ-ის 166-ე მუხლი - დეფინიცია და ხარვეზები	8
1.2. ასკ-ის 173-ე მუხლი - დეფინიცია და ხარვეზები	12
1.3. ასკ-ის 174 ¹ -ე მუხლი - დეფინიცია და ხარვეზები	14
1.4. არასათანადო პროცესუალური გარანტიები	18
2. სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული	
სამართალდარღვევების საქმეებზე.....	22
2.1. დადგენილებების დაუსაბუთებლობა და შაბლონურობა	23
2.1.1. მტკიცებულებების ფორმალური ერთობლიობა	23
2.1.2. სამართალდამცავების ჩვენებებისთვის უპირატესობის	
მინიჭება	27
2.1.3. სამოტივაციო ნაწილის შაბლონურობა	29
2.2. ევროპული სასამართლოს განმარტებების მანიპულაციური	
ინტერპრეტაცია	31
2.3. სამართალდარღვევების შემადგენლობის ფართოდ განმარტება ...	37
2.3.1. კანონიერი მოთხოვნის განმარტება (ასკ-ის 173-ე მუხლის	
ფარგლებში).....	37
2.3.2. საჯარო სივრცის განმარტება (ასკ-ის 166-ე მუხლის	
ფარგლებში).....	39
2.3.3. გზის ხელოვნურად გადაკეტვის განმარტება (ასკ-ის 174 ¹ -ე	
მუხლის ფარგლებში)	40
2.3.4. მტკიცების ტვირთის განაწილება.....	42
2.4. დაკავების კანონიერების შემოწმება.....	45
2.5. პრაქტიკის არათანმიმდევრულობა.....	49
შეჯამება	52

შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში, მასშტაბური და პერმანენტული პროტესტის ფონზე, სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება შეკრებისა და გამოხატვის ფუნდამენტური უფლებების სისტემური დარღვევები. ამ პროცესში „ქართული ოცნების“ რეპრესიული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენსა და ინსტრუმენტს საბჭოთა დროინდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი წარმოადგენს. ისედაც ხარვეზიანი და უფლებრივ სტანდარტებთან შეუსაბამო კოდექსი, ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით, კიდევ უფრო აშკარად იქცა მასობრივი რეპრესიების ინსტრუმენტად.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართულებით არსებული მდგომარეობა განსაკუთრებით 2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებული უწყვეტი პროტესტისა და წინააღმდეგობის ფონზე გამწვავდა. „ქართული ოცნება“ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ფაქტობრივად ყველანაირ რეპრესიულ ზომას – არაპროპორციულ ძალას, სპეციალურ საპოლიციო საშუალებებს, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ მექანიზმებს, იყენებს. პროტესტის მიმდინარეობისას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება დაჩქარებული წესით. ეს ცვლილებები პროტესტის კრიმინალიზებასა და საპოლიციო ძალაუფლების უკონტროლო გაძლიერებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის ძირითად უფლებებს და წინააღმდეგობაში მოდის როგორც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებთან, ისე საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

ანტიდემოკრატიული საკანონმდებლო ცვლილებების მიღმა, პროტესტის მონაწილეების დასჯასა და მათი უფლებების სისტემურ დარღვევებს, არაეფექტიანი სასამართლო კონტროლი უმყარებს საფუძველს. მზარდი სოციალური და პოლიტიკური კრიზისის პასუხად მიმდინარე საზოგადოებრივი პროტესტები, კიდევ უფრო რელევანტურსა და აშკარას ხდის სასამართლო ხელისუფლებაში არსებულ გამოწვევებს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, გაანალიზოს პროტესტის ფარგლებში ყველაზე ხშირად გამოყენებული სამართალდარღვევებისთვის რელევანტური საკანონმდებლო ხარვეზები, აგრეთვე შეისწავლოს და გამოავლინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებში სასამართლო პრაქტიკის ყველაზე პრობლემური ტენდენციები.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა ორი ძირითადი პრობლემა: 1. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პრობლემურობის უგულებელყოფა; 2. სასამართლოს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს, მიერ სასამართლო კონტროლის ვალდებულების შეუსრულებლობა.

მეთოდოლოგია და წყაროები – კვლევა, ძირითადად, ეყრდნობა 2023-2025 წლებში სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ ნაწარმოებ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებს. კერძოდ, კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა აღნიშნული საქმეების ფარგლებში საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოცემული დადგენილებები, სასამართლოებიდან გამოთხოვილი სხდომის ოქმები და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული დადგენილებები ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საჩივრებზე.

სასამართლო პრაქტიკისა და საპროცესო დოკუმენტების გარდა, დოკუმენტში გაანალიზებულია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სამოქმედო გეგმები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებები და ადგილობრივი/საერთაშორისო ორგანიზაციების რეგლევანტური ანგარიშები.

1. ადმინისტრაციული კანონმდებლობის ხარვეზები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (შემდგომში: ასკ) ითვალისწინებს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებასთან შემხებლობაში მყოფ რამდენიმე სამართალდარღვევას. მათი ნაწილი საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი სამართალდარღვევების თავშია მოცემული, ნაწილი კი მმართველობის დადგენილი წესის ან მოქალაქეთა კეთილმოწყობის დარგში ჩადენილ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება. შეკრებისა და გამოხატვის ფარგლებში რელიგვანტურ სამართალდარღვევებად შეიძლება ჩაითვალოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის იერსახის დამახინჯება (ასკ-ის 150-ე მუხლი), წვრილმანი ხულიგნობა (ასკ-ის 166-ე მუხლი), პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა (ასკ-ის 173-ე მუხლი); პოლიტიკოსის შეურაცხყოფა (ასკ-ის 173¹⁶-ე მუხლი), შეკრების ან მანიფესტაციის წესის დარღვევა (ასკ-ის 174¹-ე მუხლი) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის მონაწილეების მიმართ ყველა ზემოჩამოთვლილი მუხლი შესაძლოა იქნას გამოყენებული, კვლევის ფარგლებში, ძირითადი საკვლევი ფოკუსის – სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეირჩა აქციების კონტექსტში ყველაზე გავრცელებული სამართალდარღვევები (ასკ-ის 166-ე, 173-ე და 174¹-ე მუხლები). ამ მუხლების ძირითადი შემადგენლობები არ მიეკუთვნება ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით დამატებულ სამართალდარღვევებს და შესაბამისად, მათი გამოყენების პრაქტიკაც უფრო მასშტაბურია.

1.1. ასკ-ის 166-ე მუხლი – დეფინიცია და ხარვეზები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წვრილმანი ხულიგნობისთვის, რომლის დეფინიციასაც თავად ნორმა გვთავაზობს. ეს მუხლი წვრილმან ხულიგნობად მიიჩნევს: 1. საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებას; 2. მოქალაქეებზე შეურაცხყოფელ გადაკიდებას; 3. სხვა ქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს. ასკ-ის 166-ე მუხლი საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თავშია მოცემული.

კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე ამ მუხლის ძირითადი შემადგენლობის დეფინიციას არ განუცდია არსებითი ცვლილება, (მხოლოდ ტერმინი „საზოგადოებრივი ადგილები“ შეიცვალა „საჯარო სივრცით“)¹, თუმცა რამდენ-

1 „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, 06/02/2025. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/drdqSnWt>

ჯერმე შეიცვალა ამ სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციის ოდენობა და დაემატა დამამძიმებელი გარემოება – ამ მუხლით სახდელდადებული პირის მიერ პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა.²

სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ასკ-ის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის სანქციის ოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

თარიღი	სანქციის ოდენობა	
2006 – 2009 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა
	100 ლარი	30 დღემდე
2009 – 2014 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა
	100 ლარი	90 დღემდე
2014 -2018 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა
	100 ლარი	15 დღემდე
2018- 2025 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა
	500-1000 ლარი	15 დღემდე
2025 წლის თებერვლიდან	500 – 3000 ლარი	20 დღემდე (მე-2 ნაწილისთვის – 60 დღემდე)

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2006 წლიდან მოყოლებული წვრილმანი ხულიგნობისთვის რამდენჯერმე გაიზარდა როგორც ჯარიმის ოდენობა, ისე პატიმრობის ზედა ზღვარი. სანქციის დინამიკა, ძირითად შემთხვევებში, ასკ-ის 32-ე მუხლის ცვლილებას უკავშირდება, რომელიც პატიმრობის შეფარდების ზოგად ფარგლებს ადგენს.

წვრილმანი ხულიგნობისთვის სანქცია პირველად 2009 წელს გამკაცრდა, როდესაც ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ზღვარი 15-დან 90 დღემდე გაიზარდა. 2014 წელს „ქართულმა ოცნებამ“ პატიმრობის ვადა 15 დღემდე შეამცირა. კანონის ინიციატორები მაშინ განმარტავდნენ, რომ 15 დღეზე მეტი

² „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, 17/05/2018. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/srdq1t7U>

ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეესაბამებოდა პროპორციულობის პრინციპს.³ მათი განცხადებით, 90 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა სჭირდებოდა წინა ხელისუფლებას, რათა ადმინისტრაციული დარღვევა ყოფილიყო ბერკეტი ადამიანზე ზემოქმედებისთვის, თუმცა 10 წლის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ თავად 4-ჯერ (60 დღემდე) გაზარდა პატიმრობის მაქსიმალური ვადა, რითაც ადმინისტრაციული პატიმრობა სიმძიმით პრაქტიკულად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობის ზომას გაუთანაბრა.⁴

წვრილმანი ხულიგნობის სამართლებრივი მოწესრიგება რამდენიმე მიზეზის გამო არის ხარვეზიანი:

- **ბუნდოვანი დეფინიცია** – ასკ-ის 166-ე მუხლით ქმედებების ღია ჩამონათვალია გათვალისწინებული. ამავდროულად, დისპოზიცია არ მოითხოვს მოქალაქეთა სიმშვიდის არსებით დარღვევას ან რაიმე კონკრეტული შედეგის არსებობას, რაც ფართო ინტერპრეტაციის სივრცეს ტოვებს. ქმედებების არასრული ჩამონათვალითა და ფართო დეფინიციით ეს მუხლი საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის არაარსებითი დარღვევის შემთხვევაშიც კი, იძლევა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენის შესაძლებლობას. ამგვარი ფართო და ბუნდოვანი დეფინიცია პრაქტიკაში ნორმის თვითნებური გამოყენების წინაპირობას ქმნის.
- **არაპროპორციულად მკაცრი სახდელი** – როგორც უკვე აღინიშნა, ასკ-ის 166-ე მუხლის ძირითადი შემაღენლობა სახდელის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას 20 დღემდე ვადით. საერთაშორისო სტანდარტებით, სანქცია, რომელიც თავისუფლების შეზღუდვასთანაა დაკავშირებული, თავისი შინაარსით სისხლისსამართლებრივი ბუნებისაა. გარდა ამისა, ამ მუხლით (მათ შორის დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) გათვალისწინებული ჯარიმის მაქსიმალური ზღვარი (3 000 ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმის⁵ (2 000 ლარი) მინიმალურ ოდენობას.⁶ ეს

3 ტაბულა – ადმინისტრაციული პატიმრობის ზედა ზღვარი 90-დღიდან 15 დღემდე მცირდება, 2014 წ. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/SreBKMx5>

4 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რა ხარვეზები აქვს საბჭოთა დროინდელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს? 14, 03, 2025. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/urdqFq6l>

5 ცალკეულ შემთხვევებში სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს (არანაკლებ) 500 ლარის ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობასაც, რაც 6-ჯერ ჩამორჩება ასკ-ის 166-ე მუხლის პირველი ნაწილისთვის გათვალისწინებული ჯარიმის ზედა ზღვარს.

6 სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

თანაფარდობა ადასტურებს, რომ წვრილმანი ხულიგნობისთვის გათვალისწინებული სახდელის ორივე ფორმა თავისი სიმკაცრით სისხლისსამართლებრივ ხასიათს ატარებს.

მკაცრ სახდელებთან ერთად, პრობლემურია ისიც, რომ მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული სახდელები ერთმანეთთან შეუსაბამო და არათანმიმდევრულია, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა შეკრება-მანიფესტაციების ფარგლებში ხშირად გამოყენებულ სამართალდარღვევებთან (მათ შორის წვრილმან ხულიგნობასთან) მიმართებით. ასეთი სამართალდარღვევებისთვის გაცილებით მკაცრი სახდელებია გათვალისწინებული, ვიდრე უფრო მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველ დარღვევებზე. მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობისთვის პირს შესაძლოა იგივე პასუხისმგებლობა დაეკისროს, რაც მოქმედი კოდექსით უკანონო სააღმზრდელო საქმიანობისთვის არის გათვალისწინებული.⁷ გარდა ამისა, წვრილმანი ხულიგნობისთვის გათვალისწინებული სანქციის ზედა ზღვარი 30-ჯერ აღემატება ბავშვზე ძალადობის შეუტყობინებლობისთვის განსაზღვრული ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას.⁸

- **სიტყვიერი შენიშვნის მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები** კოდექსი (2025 წლის თებერვლის რეპრესიული ცვლილებების შემდეგ) კრძალავს სამართალდამრღვევი პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შესაძლებლობას 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის სახდელდადებული პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული თუნდაც სხვა ქმედების ჩადენის შემთხვევაში.⁹ შესაბამისად, რამდენად მცირე-ნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა კონკრეტულ შემთხვევაში, პირი ამ საშუალებით მექანიზმით ხელმეორედ ვერ ისარგებლებს და ავტომატურად დაექვემდებარება ასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ მკაცრ სახდელს.

7 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46² მუხლი.

8 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁶ მუხლი.

9 თუ 2025 წლის თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე შენიშვნის გამოყენება მხოლოდ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში იზღუდებოდა, ბოლო ცვლილებებით, ეს შეზღუდვა აგრეთვე გავრცელდა ასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებზეც. მაგალითად, თუ პირის ქმედება ერთხელ შეფასდება როგორც საჭარო სივრცეში ლანძღვა-გინება, მეორედ კი – მოქალაქეებზე შეურაცხყოფილი გადაკიდება, ამ პირის მიმართ მაინც ვერ იქნება გამოყენებული შენიშვნის საშუალებით მექანიზმი, რადგან ორივე ქმედება ასკ-ის 166-ე მუხლითაა გათვალისწინებული.

1.2. ასკ-ის 173-ე მუხლი – დეფინიცია და ხარვეზები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის სამართალდარღვევების თავშია მოცემული და პასუხისმგებლობას ითვალისწინებს რამდენიმე ალტერნატიული ქმედებისთვის: 1. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ან ამ მუხლით გათვალისწინებული სხვა მოხელეების¹⁰ კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა; 2. ამ მოხელეების სიტყვიერი შეურაცხყოფა; 3. ამავე მოხელეების მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება.

კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე რამდენჯერმე შეიცვალა ასკ-ის 173-ე მუხლის დეფინიცია. ცვლილებების დიდი ნაწილი ეხებოდა იმ მოხელეთა წრის გაფართოებას, რომელთა მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაც/შეურაცხყოფაც იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, თავდაპირველ რედაქციაში ცვლილებების შეტანის შემდეგ მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლს დაემატა ალტერნატიული ქმედებები – შეურაცხყოფა და შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება.¹¹

სამართალდამცავის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, როგორც ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ალტერნატიული ქმედება, ხშირად სხვა სამართალდარღვევასთან ერთობლიობაში გამოიყენება. საპროტესტო აქციის მონაწილეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს უფორმებენ ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლების ერთობლიობით, ან 173-ე და 174¹-ე (შეკრებისა და მანიფესტაციის წესის დარღვევა) მუხლებით.

სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ასკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისთვის სანქციის ოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

10 ნაგულისხმევია: სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, სამხედრო მოსამსახურე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი, აღსრულების პოლიციელი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ან ამავე სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურე ან მასთან გათანაბრებული პირი.

11 „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, 28/10/2011. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/HrdsXf3>

თარიღი	სანქციის ოდენობა		
2019- 2013 წ.	ჯარიმა	გამასწორებელი სამუშაო	ადმინისტრაციული პატიმრობა
	400 ლარი	1 თვიდან 6 თვემდე (ხელფასის 20%)	90 დღემდე
2013-2014 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა	
	2000 ლარამდე	15 დღემდე	
2014 – 2018 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა	
	250 ლარიდან 2000 ლარამდე	15 დღემდე	
2018 – 2021 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა	
	1000 ლარიდან 4000 ლარამდე	15 დღემდე	
2021 – 2025 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა	
	2000 ლარიდან 3000 ლარამდე	15 დღემდე	
2025 წლის თებერვლიდან	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა	
	2000 ლარიდან 5000 ლარამდე	60 დღემდე	

როგორც ცხრილიდან ჩანს, წვრილმან ხულიგნობასთან შედარებით, მკაცრი სახდელების პრობლემა ასკ-ის 173-ე მუხლთან მიმართებით კიდევ უფრო აშკარაა, რადგან ის დამამძიმებელი გარემოებების არსებობის გარეშე ითვალისწინებს ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალურ ვადის (60 დღე) გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, არსებითად მაღალია ჯარიმის როგორც ქვედა, ისე ზედა ზღვარი. სიტყვიერი შენიშვნის მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით კი იგივე შეზღუდვებია გათვალისწინებული, რასაც კოდექსი წვრილმან ხულიგნობასთან მიმართებით ადგენს.

მიმდინარე წლის თებერვლიდან ასკ-ის 173-ე მუხლის განმეორებით დარღვევისთვის პირის მიმართ აღარ გამოიყენება სიტყვიერი შენიშვნა, რაც კიდევ უფრო გაზრდის ამ მუხლით სახდელდადებული პირების რაოდენობას, ვინაიდან სიტყვიერი შენიშვნის მექანიზმს საერთო სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში საპროტესტო აქციების ფარგლებში დაკავებული პირების მიმართაც იყენებდნენ, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები აშკარად მიუთითებდა სამართალდარღვევის არარსებობაზე.¹²

12 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნების“ მიერ დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკული ანალიზი. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/irdmkUbg>

1.3. ასკ-ის 174¹-ე მუხლი — დეფინიცია და ხარვეზები

ასკ-ის 174¹-ე მუხლი შეკრების/მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისთვის აწესებს პასუხისმგებლობას და პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის (ასკ-ის 173-ე მუხლი) მსგავსად, ისიც მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თავშია მოცემული.

ასკ-ის 174¹-ე მუხლის დეფინიცია სრულად ბლანკეტურია — ცხრა ნაწილისგან შედგება და თითოეული მათგანი „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ კანონის ცალკეულ მუხლებზე მიუთითებს. ასკ-ის 174¹-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს აქციის ორგანიზებამდე გაფრთხილების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, სასამართლოს შესასვლელის ბლოკირებისთვის, აქციაზე აკრძალული ნივთების (მაგ: ალკოჰოლი, ლაზერი, ცივი იარაღი და სხვ.) ტარებისა და სხვა ქმედებებისთვის. ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის განსაზღვრული სახდელები განსხვავებულია: ჯარიმა 2 000 ლარიდან 20 000 ლარამდე მერყეობს, ზოგ შემთხვევაში კი გათვალისწინებულია 60 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობაც.

კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე ასკ-ის 174¹-ე მუხლში არაერთი ცვლილება შევიდა. მათი ნაწილი სანქციების გამკაცრებას უკავშირდებოდა, ნაწილი კი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე სამართალდარღვევის ახალი შემადგენლობების დამატებას ითვალისწინებდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებისგან განსხვავებით, 174¹-ე მუხლი თავის თავში განსხვავებულ სამართალდარღვევებს აერთიანებს, რის გამოც მისი ძირითადი შემადგენლობის განსაზღვრა და მასთან მიმართებით სასჯელთა დინამიკის შედარება შედარებით რთულია. სწორედ ამიტომ, ცხრილის სახით წარმოდგენილია სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე ამ მუხლის ერთ-ერთი გავრცელებული შემადგენლობის — გზის სავალი ნაწილის ხელოვნურად ბლოკირებისთვის გათვალისწინებული ძირითადი სახდელების¹³ დინამიკა.

13 გარდა ძირითადი სახდელებისა, 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, გზის სავალი ნაწილის ხელოვნური გადაკეტვა ითვალისწინებს იარაღის ტარების უფლების შეზღუდვას 3 წლამდე ვადით- დამატებითი სახდელის სახით, 2025 წლიდან კი აგრეთვე სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციას.

თარიღი	სანქციის ოდენობა	
2009-2010 წ.	ადმინისტრაციული პატიმრობა 90 დღემდე	
2010-2014 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა
	500 ლარი	90 დღემდე
2014 -2024 წ.	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა
	500 ლარი	15 დღემდე
2024 წლის დეკემბრიდან	ჯარიმა	ადმინისტრაციული პატიმრობა
	5000 ლარი	15 დღემდე

როგორც ცხრილიდან ჩანს, ათი წლის განმავლობაში, 2014 წლიდან 2024 წლამდე, ასკ-ის 174¹-ე მუხლში საკანონმდებლო ცვლილება არ შესულა, 2024 წელს კი ქვეყნის მასშტაბით უწყვეტი პროვეროპული აქციების ფონზე „ქართულმა ოცნებამ“ 10-ჯერ გაამკაცრა ჯარიმა გზის სავალი ნაწილის გადაკეცივისთვის. ცვლილებების მიღების კონტექსტი და მასშტაბი ცალსახა დასტურია იმისა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების რეალური მიზანი პროტესტის ჩახშობა იყო.

ასკ-ის 174¹-ე მუხლის დეფინიცია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით არის პრობლემური. მათ შორისაა:

- **ბლანკეტური აკრძალვები** – „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონი აბსოლუტურ აკრძალვებს აწესებს, ამის საფუძველზე კი ასკ-ის 174¹-ე მუხლი ბლანკეტური საფუძვლებით ადგენს პასუხისმგებლობას. ამგვარი შეზღუდვები არაპროპორციულ ჩარევას იწვევს შეკრების, გამოხატვისა და სხვა ფუნდამენტურ უფლებებში, რადგან საქმის განმხილველ ორგანოებს არ აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს ინტერესთა ბალანსი და პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობა.

მაგალითისთვის, კანონმდებლობა კრძალავს საპროტესტო აქციაზე სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვას, ისე რომ არც „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონი და არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ აკონკრეტებს შეზღუდვის ფარგლებს. ცალსახაა, რომ ნიღბის აკრძალვა ვერ იქნება თვითმიზანი. კანონის ინიციატორების განცხადებით, ნორმა ემსახურება შეკრების მონაწილეების იდენტიფიცირებასა და მართლწესრიგის დაცვას.¹⁴ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ

14 ნინო წილოსანი: „აქციებზე ნიღბების აკრძალვის ინიციატივა ემსახურება მართლწესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას ქვეყანაში“, 10.12.2024. ხელმოსაწვდომია: <https://cutt.ly/mrfvFWP8>

აქციის მონაწილე შესაბამის ორგანოებს იდენტიფიცირების შესაძლებლობას აძლევს, გაურკვეველია შეზღუდვის მიზანი და ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის საფუძველი.

ნიღბის მსგავსად, ლაზერის ტარების ბლანკეტური აკრძალვაც უხეშად ეწინააღმდეგება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს, რადგან ამ საგნების ტარება შეიძლება წარმოადგენდეს აღნიშნული უფლებებით სარგებლობის და გამოხატვის სიმბოლურ ფორმებს. ასეთი შეზღუდვა მხოლოდ კონკრეტული გარემოებების არსებობის პირობებში, მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან აცილების საჭიროებისას შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლების შეზღუდვის გამართლებულ და პროპორციულ საშუალებად.¹⁵

- **აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციები** – როგორც უკვე აღინიშნა, ასკ-ის 174¹-ე მუხლი ცხრა პუნქტისგან შედგება, მათგან შვიდი ჯარიმის ოდენობას ბლანკეტურად განსაზღვრავს და მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობის ნაწილში ადგენს ზედა ზღვარს. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტები კი სანქციის მხოლოდ ერთადერთ სახესა და ზომას – კონკრეტული ოდენობით ადმინისტრაციულ ჯარიმას ითვალისწინებს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი ჩამოთვლის გარემოებებს, რომლებიც ნებისმიერ მუხლით სახდელის დადებისას მხედველობაში უნდა მიიღებოდეს. ესენია: ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. ამ საკანონმდებლო ჩანაწერის მიუხედავად, ასკ-ის 174¹-ე მუხლი, აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის დანესებით, იმთავითვე ზღუდავს სახდელის დანიშვნისას ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინების შესაძლებლობას.

მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრის ნაცვლად, სახდელის კონკრეტული ოდენობის იმპერატიულად განსაზღვრა სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ უფლებასა და პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს არღვევს. ასეთი ნორმის გამოყენების დროს მოსამართლეს საქმის ინდივიდუალური გარემოებების შეფასების საფუძველზე სახდელის

15 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნების“ მიერ დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკული ანალიზი. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/irdmkUbg>

შერჩევის შესაძლებლობა არ აქვს და მან ყველა შემთხვევაში კანონით პირდაპირ გათვალისწინებული სახდელის სახე და ზომა უნდა გამოიყენოს.¹⁶

- **სიტყვიერი შენიშვნის მექანიზმის შეზღუდვა**

როგორც უკვე აღინიშნა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს დამრღვევის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და სიტყვიერი შენიშვნის შეფარდების მექანიზმს და ამ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისთვის ოქმის შემდგენ ორგანოსა და სასამართლოს კონკრეტულ წინაპირობებს უდგენს. კერძოდ, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების კუმულაციური არსებობა:

- ჩადენილი ქმედება უნდა იყოს მცირემნიშვნელოვანი;
- ეს ქმედება არ უნდა იყოს ჩადენილი განმეორებით;
- სამართალდამრღვევის მიმართ მანამდე არ უნდა იყოს გამოყენებული სიტყვიერი შენიშვნა;

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი საშეღავათო მექანიზმის გამოყენებისთვის ისედაც მკაფიო ფარგლებს ითვალისწინებდა, მიმდინარე წლის თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით, საპროტესტო აქციების ფარგლებში მასობრივად გამოყენებად მუხლებზე კიდევ უფრო შეიზღუდა ამ მექანიზმის გავრცელების ფარგლები. თუ 2025 წლის თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე შენიშვნის გამოყენება მხოლოდ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში იზღუდებოდა, თებერვლის ცვლილებებით, ეს შეზღუდვა არა მხოლოდ იგივე, არამედ იმავე მუხლით გათვალისწინებული სხვა ქმედებების ჩადენის შემთხვევებზეც გავრცელდა. ეს ცვლილება განსაკუთრებით პრობლემურია ასკ-ის 174¹⁷ მუხლის კონტექსტში, რადგან ეს მუხლი ათზე მეტ სამართალდარღვევას აერთიანებს და მათი ჩადენის კონტექსტი თუ გარემოებები არსებითად განსხვავებული შეიძლება იყოს. შესაბამისად, განმეორებითობის საფუძვლით შენიშვნის გამოყენების ბლანკეტური აკრძალვა პროპორციულად ვერ ჩაითვლება.¹⁷

16 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რა ხარვეზები აქვს საბჭოთა დროინდელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს? 14, 03, 2025. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/urdqFq6l>

17 ეს ცვლილება განსაკუთრებულად ალოგიკურია იმ ფონზე, რომ კანონმდებლობა, არათუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან მიმართებით, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროსაც კი ითვალისწინებს მცირე მნიშვნელობის ქმედების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობას და ამ მექანიზმის გამოყენებას არ უკავშირებს მხოლოდ პირველად ჩადენილ სისხლისსამართლებრივ დანაშაულს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვიერი შენიშვნის არსებობის პირობებში (პირველად ჩადენილი სამართალდარღვევის დროს) ნორმას მაინც აქვს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მექანიზმი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოვლინებაა, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და ადმინისტრაციული სანქციის ინდივიდუალიზაციის პრინციპები ერთმანეთისაგან არსობრივად განსხვავებული და არაჩანაცვლებადი პრინციპებია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამართალდამრღვევი პირი, გარკვეულ, არამცირემნიშვნელოვან ქმედებას ჩაიდენს, სანქციის ინდივიდუალიზაციის პრინციპი მოითხოვს, რომ საკითხის გადაწყვეტაზე უფლებამოსილ ორგანოს გააჩნდეს სახდელის ზომის განსაზღვრის შესაძლებლობა.¹⁸

1.4. არასათანადო პროცესუალური გარანტიები

გარდა ცალკეული სამართალდარღვევების შემადგენლობის ბუნდოვანებისა, კოდექსი არსებითად ხარვეზიანია პასუხისმგებაში მიცემული პირის პროცესუალური გარანტიებისა და სასამართლო განხილვის პრინციპების ნაწილში. სათანადო პროცესუალური გარანტიების არარსებობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ერთ-ერთი სისტემური და ფუნდამენტური გამოწვევაა, რომელიც ყველა სამართალდარღვევაზე ვრცელდება,¹⁹ თუმცა შეკრების/მანიფესტაციების ფარგლებში გამოყენებად მუხლებზე, როგორც განსაკუთრებით გავრცელებულ და ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე, კიდევ უფრო აშკარაა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევების სიმძიმე და მასშტაბურობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, სისხლისსამართლებრივი პროცესუალური გარანტიები და უფლებები შეიძლება გავრცელდეს ისეთ დარღვევებზეც, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით არ კლასიფიცირდება სისხლის სამართლის დანაშაულად, თუმცა კონვენციის მიზნებისთვის შესაძლოა, უთანაბრდებოდეს მას და სისხლისსა-

18 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/2/1475 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს ბეჟანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 33.

19 ვრცლად იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რა ხარვეზები აქვს საბჭოთა დროინდელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს? 14, 03, 2025. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/urdaqFq6l>

მართლებრივი პასუხისმგებლობის სიმძიმეს აღწევდეს. დარღვევის ბუნების განსაზღვრისთვის კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს სანქციის სახესა და მის მიზანს.²⁰

როგორც უკვე აღინიშნა, საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ მასობრივად გამოყენებული სამართალდარღვევები ითვალისწინებს მკაცრ სახდელს – პატიმრობასა და მაღალ ჯარიმებს. საერთაშორისო სტანდარტებით, სანქცია, რომელიც თავისუფლების შეზღუდვასთანაა დაკავშირებული, თავისი შინაარსით სისხლისსამართლებრივი ბუნებისაა და მასზე სისხლის სამართლის სფეროში მოქმედი სტანდარტები/გარანტიები უნდა ვრცელდებოდეს.

გარდა პატიმრობისა, ზოგიერთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ჯარიმაც შეიძლება აღწევდეს სისხლის სამართლის სანქციის ზღვარს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა 2000 ლარია. ცალკეულ შემთხვევებში კი მოსამართლემ სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება გამოიყენოს ჯარიმა არანაკლებ 500 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ცალკეულ სამართალდარღვევებზე გაცილებით მაღალ ჯარიმებს ითვალისწინებს. ასეთ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება ასკ-ის 174¹ მუხლით გათვალისწინებული შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევაც.

ვენეციის კომისიამ, 2025 წლის მარტში გამოქვეყნებული მოსაზრებით, კრიტიკულად შეაფასა შეკრებისა და გამოხატვის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები. კომისიის შეფასებით, ადმინისტრაციული პატიმრობისა და ფინანსური სანქციების არსებითი ზრდა „მსუსხავ ფეფქტს“ ქმნის საპროტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობაზე. კომისიამ ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ჯარიმების ოდენობის მასთან აშკარა შეუსაბამობაზე.²¹ კომისიის შეფასებით, შეკრებებთან დაკავშირებული უმნიშვნელო, არაძალადობრივი სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს მსუბუქი ჯარიმები და ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ იქნეს გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა.²²

20 European Court of Human Rights – GUIDE ON ARTICLE 6 – RIGHT TO A FAIR TRIAL (criminal limb), გვ.7.

21 Georgia – Urgent Opinion on amendments to the Code of administrative offences and the Law on assemblies and demonstrations, 46-50.

22 IDFI – ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების შემზღუდველ რეპრესიულ ცვლილებებზე. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/YrzKSf1C>

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელები სისხლისსამართლებრივი ბუნებისაა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს არ აქვს ისეთი პროცესუალურ-სამართლებრივი გარანტიები, რაც ბრალდებულს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აქვს მინიჭებული. მაგალითისთვის, მოქმედი ადმინისტრაციული კოდექსი არ განსაზღვრავს უდანაშაულობის პრეზუმფციას და სამართალდარღვევის დადგენისთვის არ მოითხოვს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მტკიცებას. ბრალის დადასტურების და სახდელის შეფარდების პროცედურების შეკვეცილი და გამარტივებული ხასიათი ნაკლებად იძლევა შედეგიანი წარმომადგენლობის ან ეფექტური გასაჩივრების შესაძლებლობას.

2025 წლის თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებებით, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველ ნორმებთან ერთად, კოდექსს დაემატა საქმის განხილვისა და მტკიცებულებების შეფასების რამდენიმე წესი. მაგალითად, ამ ცვლილებებით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილი დადგენილება უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.²³ გარდა ამისა, კოდექსით განისაზღვრა, რომ არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (ე.წ. „პრეიუდიცია“). საქმის განხილვის წესებში დამატებული ნორმები საბაზისო პროცესუალური მოთხოვნებია, რომლებიც ისედაც გამომდინარეობს კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპებიდან და მათ საქმის განხილვის პრაქტიკაში არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია. გამკაცრებული სახდელების ფონზე, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირები კვლავ სათანადო პროცედურული გარანტიების მიღმა რჩებიან.²⁴

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზიან ბუნებაზე, განსაკუთრებით კი არასათანადო საპროცესო გარანტიებსა და სამართლიანი სასამართლოს უფლების არასრულფასოვან რეალიზებაზე, არაერთხელ იქნა აღნიშნული, როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში²⁵ 2019 წლიდან მოყოლებული ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სახელდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევ-

23 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლის 1¹ ნაწილი.

24 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის პირველი ნაწილი.

25 საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სამოქმედო გეგმები (2019-2022წ.) ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/QRwM51cF>

ბის კანონმდებლობის სისტემური რეფორმა, რასაც ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ნორმების გაუმჯობესება და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირისთვის ადეკვატური პროცესუალური გარანტიების შექმნა უნდა მოეცვა. კომიტეტის 2025 წლის სამოქმედო გეგმა, უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში პირველად, არ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური რეფორმის საჭიროებას. ამდენად, აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ მზად არის, აშკარად და პირდაპირ გადაუხვიოს მის მიერვე წლების განმავლობაში გამოხატულ პოზიციას, ვიწრო პარტიული ინტერესების გატარების და პროტესტის ჩახშობის მიზნით.²⁶

26 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რა ხარვეზები აქვს საბჭოთა დროინდელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს? 14, 03, 2025. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/urdqFq6l>

2. სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე

სასამართლო კონტროლის უმთავრესი ფუნქცია – დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების შტოებს შორის ძალთა ბალანსის უზრუნველყოფა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრება – მანიფესტაციის უფლებების რეალიზებისას. ამ ტიპის საქმეებში სასამართლოებს აქვთ პირდაპირი ვალდებულება, არ მოეცნენ პარტიული გავლენების ქვეშ და მათ ხელთ არსებული ყველა მექანიზმი გამოიყენონ სამართალდამცავთა უკანონო ქმედებების კონტროლისთვის. ამის საპირისპიროდ, წლების განმავლობაში, მართლმსაჯულების სისტემის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები ნათლად აჩვენებს მზარდ გარე პოლიტიკურ თუ შიდა კორპორატიულ გავლენებს სასამართლო ხელისუფლებაზე,²⁷ რაც იმთავითვე ეჭვქვეშ აყენებს სასამართლო გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობასა და სანდოობას.

ბოლო წლების განმავლობაში, ანტისახელისუფლებო პროტესტების გააქტიურებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება აქციის მონაწილეების მიმართ წარმოებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე სასამართლო კონტროლის არაუფექტიანობა. სასამართლო განხილვის ფარგლებში მასშტაბურად ირღვევა პასუხისგებაში მიცემული დემონსტრანტების პროცესუალური უფლებები. ფორმალური სასამართლო კონტროლი კი ახალისებს საპოლიციო თვითნებობასა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში დაუსაბუთებლად ჩარევის მანკიერ პრაქტიკას.

უკანასკნელი ორი წლის (2023 წლის მარტში „პირველი რუსული კანონის“ საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებიდან მოყოლებული, 2025 წლის მაისის ჩათვლით) საპროტესტო აქციების საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებიც ამ კვლევის მიზნებისთვის იქნა შესწავლილი, არაერთ პრობლემურ ტენდენციას ააშკარავებს. ეს ტენდენციები დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

27 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, *რეფორმების ხედვები მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვითი მიმართულებით*, 2024.

2.1. დადგენილებების დაუსაბუთებლობა და შაბლონურობა

სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე მიღებული დადგენილებები არასათანადოდ არის დასაბუთებული და ინდივიდუალური გარემოებების შეფასების ნაცვლად, შაბლონურად იმეორებს კანონის ნორმებსა და განმარტებებს. ეს ეხება როგორც ასკ-ის 166-ე და 173-ე, ისე 174¹-ე მუხლით განხილულ საქმეებს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ადგენს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნას. ის კანონის თვითნებური ინტერპრეტაციისგან დაცვისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის უზრუნველყოფის გარანტიას ქმნის.²⁸ სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილება გულისხმობს ისეთ გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლო განმარტავს რომელი ფაქტობრივ გარემოებებს მიიჩნევს რელევანტურად, რის საფუძველზე აიდენტიფიცირებს მათ სარწმუნოდ და როგორია სასამართლოს პოზიცია მხარეების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე.²⁹

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებში სასამართლოს დადგენილებების დაუსაბუთებლობას რამდენიმე ტენდენცია ააშკარავებს:

2.1.1. მტკიცებულებების ფორმალური ერთობლიობა

დადგენილებების ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლოები გადაწყვეტილების მიღებისას, ძირითად შემთხვევებში, ეყრდნობიან მხოლოდ ერთი მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს – სამართალდარღვევის ოქმსა და დაკითხული პოლიციელების ჩვენებებს. შესაბამისად, პირის სამართალდამრღვევად ცნობა, უმეტეს შემთხვევებში, ნეიტრალური და ობიექტური მტკიცებულების (მაგ.: ვიდეოჩანაწერი) გარეშე ხორციელდება. ზოგიერთ საქმეში, მართალია, წარმოდგენილია ვიდეოჩანაწერი, თუმცა მას არ აქვს შემხებლობა საქმეში სადავოდ გამხდარ ფაქტობრივ გარემოებებთან, რადგან მასზე მხოლოდ საპროტესტო აქციის ზოგადი სურათია ასახული და ძირითად შემთხვევებში, იდენტიფიცირებადიც კი არ არის პასუხისმგებლობაში მიცემული

28 Council of Europe – Reasoning of Judicial Decisions. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/mrfoqZPI> გვ. 12.

29 იქვე, გვ.13.

პირი. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევია ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით განხილულ საქმეებში, რადგან 174¹ -ე მუხლით დაწყებულ საქმეებში შსს მაღალი გარჩევადობის ვიდეოჩანაწერებს იყენებს.³⁰

მაგალითად: თბილისის საქალაქო სასამართლო 2024 წლის დეკემბრის აქციაზე დაკავებული პირის საქმეში სამართალდარღვევის ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებებად მხოლოდ შსს-ის ოქმებსა (სამართალდარღვევის და დაკავების ოქმები) და ტექნიკურ კორესპონდენციას (პატაკი, შსს-ის ბაზებიდან ამოღებული საიდენტიფიკაციო მონაცემები) მიუთითებს, ისე რომ, არ განმარტავს, რატომ არ თვლის პასუხისგებაში მიცემული პირის/მისი ადვოკატის ახსნა-განმარტებას სარწმუნოდ და რა გარემოებებზე დაყრდნობით არ იზიარებს მათ სამართლებრივ დასაბუთებას.³¹

აშკარაა, რომ ასეთი დადგენილებები მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მოთხოვნებს ვერ პასუხობს. კიდევ უფრო პრობლემურია, რომ მტკიცებულებათა ამგვარი ერთობლიობით სასამართლო გადაწყვეტილებას არ იღებს მხოლოდ ცალკეულ საქმეებში და შსს-ის დოკუმენტაციის საფუძველზე აქციის მონაწილეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას დამკვიდრებული ტენდენციის სახე აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ტექნიკური დოკუმენტაციისა და მონმე-პოლიციელების ჩვენებები არათუ არ ქმნის დამაჯერებელ და უტყუარ სტანდარტს პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის, არამედ ეს დოკუმენტები საერთოდ არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მტკიცებულებათა რეალური ერთობლიობა. სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში წლების განმავლობაში მიუთითებდა, რომ როდესაც ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ, მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს.³² ანგარიშებში აგრეთვე მითითებულია, რომ საერთო სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი ბუნების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვისას პირი

30 ვრცლად იხ. „სოციალური სამართლიანობის ცენტრი სახის ამომცნობი ტექნოლოგიის მოქალაქეების დაჯარიმების მიზნით გამოყენების უკანონოებაზე იდავებს“, 19.03.2025. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/prf5RnwH>

31 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის N4/8681-24 დადგენილება. (მოსამართლე – ლელა მილდენბერგერი).

32 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, გვ. 92. 2020 წლის ანგარიში, გვ. 145-146; 2019 წლის ანგარიში, გვ. 157-159; 2018 წლის ანგარიში, გვ. 103-106.

არ არის უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს გარანტიებით როგორიცაა მტკიცებულებათა სტანდარტი, უდანაშაულობის პრეზუმფცია, უტყუარი მტკიცებულებების არსებობის საჭიროება და დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება.

პირველი ინსტანციის სასამართლოების ათობით დადგენილების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვისას სასამართლოები ფორმალურადაც არ მსჯელობენ პასუხისგებაში მიცემული პირის/ მისი ადვოკატის ახსნა-განმარტებებსა და მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე. ეს ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ ობიექტურ მკითხველს, რომელიც დადგენილებას ეცნობა, საქმის სრულ სურათზე არ ექმნება წარმოდგენა და მხოლოდ ერთი მხარის პოზიციის შესახებ აქვს ინფორმაცია. ფაქტობრივი გარემოებების ნაწილში სასამართლო ვალდებულია, განიხილოს არა მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომელსაც იზიარებს და დააფუძნებს სარეზოლუციო ნაწილს, არამედ სასამართლო სხდომაზე შესწავლილი ყველა მტკიცებულება. სამოტივაციო ნაწილში კი უნდა შეფასდეს, რატომ არ მიიჩნია სასამართლომ დამატებულად მეორე მხარის პოზიცია.

მაგალითად: თბილისის საქალაქო სასამართლო 2024 წლის 19 აპრილის დადგენილებაში ცალკე გამოყოფს მოწმეთა ჩვენებების ქვეთავს, თუმცა მასში მხოლოდ მოწმე პოლიციელების ჩვენებებს მიმოიხილავს და არაფერს ამბობს პასუხისგებაში მიცემული პირისა და მისი ადვოკატის მიერ პროცესზე გაკეთებული განმარტების შესახებ.³³

საპროტესტო აქციის საქმეებში მტკიცებულებათა სტანდარტის განხილვისას ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ზემოთ განხილული ტენდენციები, უფრო მეტად, ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით განხილულ საქმეებში არის გამოკვეთილი. პრაქტიკა მცირედით განსხვავდება ასკ-ის 174¹-ე მუხლით მიმდინარე საქმეებზე, სადაც, როგორც წესი, მოწმის სახით არ იკითხებიან პოლიციელები. მაგალითისთვის, გზის გადაკეტვის საქმეებზე შინაგან საქმეთა სამინისტრო სასამართლო სხდომაზე გამოსაკითხად არ წარადგენს მოწმე პოლიციელებს და ამ ტიპის საქმეებში ერთადერთ მტკიცებულებას წარმოადგენს პასუხისგებაში მიცემული პირის ამსახველი ფოტო/ვიდეომასალა.

33 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 19 აპრილის 4/3014-24 დადგენილება. (მოსამართლე – ირაკლი ჩიკაშუა).

მაგალითად: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2025 წლის 10 თებერვლის დადგენილებით³⁴ გზის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვისთვის პირი სამართალდარღვევად ცნო შსს-ის მიერ წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტაციის (სამართალდარღვევის ოქმი, შსს-ის ბაზებიდან ამოღებული ინფორმაცია პიროვნების შესახებ, პატაკი და ფოტო/ვიდეომასალა) საფუძველზე და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმა (5 000 ლარი) დააკისრა. დადგენილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო აღნიშნავს, რომ ნეიტრალური მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება გზის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, რასაც არ მოითხოვდა აქციამე შეკრებილ პირთა რაოდენობა.

ასკ-ის 174¹-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის (გზის გადაკეტვა) შემადგენლობა მოიცავს შეფასებით ელემენტს (ხელოვნური გადაკეტვა), რაც მიზნის დადგენას მოითხოვს და შეუძლებელია მხოლოდ ფორმალური და ტექნიკური მტკიცებულებით შეფასდეს. ამ სამართალდარღვევის შინაარსი და ფარგლები მთლიანად სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებსა და განმარტებებზე არის დამოკიდებული და ამ კუთხით, სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი აქვს, რომ თითოეული ინდივიდუალური საქმე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში შეაფასოს. ამის საპირისპიროდ, სასამართლო მოცემულ დადგენილებაში საერთოდ არ მსჯელობს აქციის მონაწილეების რაოდენობასა და იმ მეთოდზე, რომლითაც გადაკეტვის საჭიროება უნდა შეფასდეს, აგრეთვე, უფრო ფართოდ, პროტესტის დინამიკისთვის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, გზის სავალი ნაწილის დაკავების სიმბოლურ მნიშვნელობაზე.

გზის გადაკეტვის საქმეებში მტკიცებულებათა ამგვარი სტანდარტი კიდევ უფრო კარგად აჩვენებს, რომ ასკ-ის 174¹-ე მუხლი იმდენად ბლანკეტურ შემლუღვებს აწესებს, რომ სასამართლო სხდომაზე აღნიშნული საქმეების განხილვა მხოლოდ ჩამოთვლილი ტექნიკური ხასიათის მტკიცებულებების საფუძველზე, პოლიციელების გამოკითხვის გარეშეც კი არის შესაძლებელი, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება საქმის სრულყოფილი და სამართლიანი განხილვის უფლებას.

34 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 10 თებერვლის N4/935 დადგენილება.

2.1.2. სამართალდამცავების ჩვენებებისთვის უპირატესობის მინიჭება

საქალაქო/რაიონული და სააპელაციო სასამართლოები ათობით საქმეში შაბლონურად, იდენტური არგუმენტებით ასახელებენ სამართალდამცავების ჩვენებებს, განსაკუთრებით სანდო და დამაჯერებელ მტკიცებულებად, რომელსაც სასამართლო უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს სხვა მტკიცებულებებთან შედარებით.

მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლო 2024 წლის 19 აპრილის დადგენილებაში³⁵ განმარტავს გარემოებებს, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების ჩვენებების სანდოობას განაპირობებს: „მტკიცების პროცესში ყურადღებას იმსახურებს სამართალდარღვევის აღმკვეთი პირების მიერ დაფიქსირებული გარემოებები, რამეთუ ისინი განსაკუთრებული ინფორმაციულობით გამოირჩევა და წარმოადგენს საქმის მტკიცებულების უმნიშვნელოვანეს წყაროს. თვითმხილველთა ამ ჯგუფს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებთ, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, თავისი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული. თვითმხილველ პირთა ამ ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება უკავშირდება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას. თავიანთ პროფესიულ მოვალეობას ისინი ასრულებენ გარკვეულ გარემოებებზე, მოქმედებებზე, ობიექტებზე, ადამიანებზე გაცნობიერებულად, მიზანმიმართული ყურადღების მეშვეობით, ასეთი თვითმხილველის აღქმის მაღალი ხარისხი, ჩვენების სისრულე, უკავშირდება იმას, რომ მუშაკმა წინასწარ, თუნდაც ზოგადად იცის აღსაქმელი სიტუაციის, მოვლენის ნიშნები“.

სამართალდამცავების ჩვენებებისთვის ავტომატური უპირატესობის მინიჭება რამდენიმე გარემოების გამო არის ალოგიკური და პრობლემური:

- სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელი არ არის ნეიტრალური და მიუკერძოებელი პირი, რადგან ის ბუნებრივად დაინტერესებულია, რომ მის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი სასამართლოს მიერ კანონიერად შეფასდეს. ამასთან, თუ მან ვერ მოახერხა პირის დაკავების /სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძვლების დადასტურება და დამტკიცდა მისი ქმედების თვითნებურობა, რაზეც ხშირად მიუთითებენ პა-

35 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 19 აპრილის N4/-309-24 დადგენილება (მოსამართლე – ნინო შარაძე).

სუსისგებაში მიცემული პირები, მონმე სისხლისსამართლებრივი პასუხის-მგებლობის რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, რაც, რასაკვირველია, საქმის შედეგისადმი გარკვეულ ინტერესზე მიუთითებს.

- პოლიციელები სასამართლო პროცესზე არ იკითხებიან როგორც კერძო პირები. ჩვენების მიცემის დროს ისინი, რასაკვირველია, წარმოადგენენ სამართალდამცავ უწყებას და მის ინტერესებს. როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მექანიზმი აქტიურად გამოიყენება აქციების ფარგლებში და დღის განმავლობაში შსს ათობით ან ზოგჯერ, ასობით პირს უდგენს ოქმს, სასამართლოს გადაწყვეტილებების სტატისტიკას ეკისრება მნიშვნელოვანი როლი, განსაზღვროს შევრებისა და გამობატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტები.
- დადგენილებებიდან ჩანს, რომ სასამართლო მხოლოდ ერთი კუთხით აფასებს პოლიციელების ჩვენებებს. მიზანმიმართული ყურადღების მიღმა, ის უნდა ითვალისწინებდეს იმასაც, რომ საპროტესტო აქციებზე, ადამიანების მასშტაბური დაკავებების პირობებში, პოლიციელისთვის რთული ხდება საქმის ინდივიდუალური გარემოებების გახსენება (მით უფრო მაშინ, თუ პროცესი ოქმის შედგენიდან რამდენიმე კვირის/თვის შემდეგ ინიშნება) და ხშირად შემოიფარგლება ზოგადი სურათის აღწერით. ეს კი, ცხადია, ნაკლებად დამატერებელს ხდის პოლიციელების ჩვენებებს.
- სასამართლოში მოწმის სახით, როგორც წესი, არ იკითხებიან დამკავებელი პოლიციელები. საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ ძირითადად, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და კრიმინალური პოლიციის ის თანამშრომლები აკავებენ აქციის მონაწილეებს, რომლებიც პოლიციის კორდონებში წინა ხაზებზე დგანან, ხოლო დაკავებული პირის ტრანსპორტირება სხვა თანამშრომლების მიერ ხდება. სასამართლოში ძირითადად იკითხებიან არა უშუალო დამკავებლები, არამედ ის პოლიციელები, რომლებსაც ამგვარი ლოჯისტიკური (პოლიციის განყოფილებაში დაკავებულითა გადაყვანა) ფუნქციები აქვს. ბუნებრივია იმ ადამიანების ჩვენება, რომელიც საერთოდ არ იმყოფებოდა სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას ან შორიდან ხედავდა ფაქტს, არ უნდა ჩაითვალოს ობიექტურ და სანდო მტკიცებულებად, თუმცა არც ამ გარემოებაზე მსჯელობენ სასამართლოები ინდივიდუალური საქმეების ფარგლებში.³⁶

36 თავად შსს-ის მოწმეებიც სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს ადასტურებენ, რომ მათ არ დაუკავებიათ პასუხისგებაში მიცემული პირი. მაგალითად ეს გარემოება დასტურდება სასამართლო სხდომის ოქმით, სადაც განიხილებოდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მ.ჩ.-ის მიმართ. შსს-ის დაკითხული მოწმეები – ლ.ჭ და გ.გ.

2.1.3. სამოტივაციო ნაწილის შაბლონურობა

დადგენილებების ანალიზი აშკარად აჩვენებს, რომ ათობით საქმეში სასამართლო იდენტური ფორმით იმეორებს მთელს სამოტივაციო ნაწილს და ძირითად შემთხვევებში, მხოლოდ პასუხისგებაში მიცემული პირის პირად მონაცემებს ცვლის. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აშკარაა, ერთი მოსამართლის მიერ მიღებული დადგენილებების ანალიზისას. საპროტესტო აქციის სხვადასხვა დღეს შედგენილი ოქმების კანონიერება შეუძლებელია სასამართლომ იდენტური ფორმით განიხილოს და შეაფასოს, რადგან განსხვავებულია როგორც ინდივიდის ქმედება, ისე აქციის სრული სურათი. შაბლონურ სამოტივაციო ნაწილს ვხვდებით ისეთ დადგენილებებშიც, სადაც შსს აქციის მონაწილეებს სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას ედავება.

ცხადია, მაღალი დატვირთულობის გათვალისწინებით სასამართლო კოლეგიებს შეიძლება დასჭირდეთ დადგენილების შაბლონების გამოყენება სხვადასხვა საქმეში, თუმცა ინდივიდუალური გარემოებების სრული უგულვებელყოფა და მხოლოდ ნორმების შაბლონური ციტირებით ადამიანების პასუხისგებაში მიცემა, უხეშად არღვევს დასაბუთებული გადანაცვტილებისა და, უფრო ფართოდ, სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

მაგალითისთვის: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლელა მილდენბერგერმა ორ სხვადასხვა საქმეში (2024 წლის 02 და 09 დეკემბერს დაკავებული პირების სამართალდარღვევების საქმეები³⁷ იდენტური ფორმის სამოტივაციო ნაწილი გამოიყენა. დადგენილების სამართლებრივი ნაწილის ყველა არგუმენტი თუ განმარტება აბსოლუტურად იდენტურია და მასში მხოლოდ პასუხისგებაში მიცემული პირის პირადი მონაცემებია შეცვლილი. გასათვალისწინებელია, რომ სამოტივაციო ნაწილის არცერთი აბზაცი არ ეხება საქმის ინდივიდუალურ გარემოებებსა და მის საფუძველზე განვითარებულ მსჯელობას. სწორედ ეს ქმნის სხვადასხვა საქმეში ერთი დასაბუთების შეუცვლელად გამოყენების შესაძლებლობას.

სამართალდარღვევის ფაქტის დადასტურების შემდეგ სასამართლოები აგრეთვე საქმის ინდივიდუალური გარემოებების განხილვის გარეშე იღებენ

37 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 20 დეკემბრის N4/8959-24 და 4/8681-24 დადგენილებები (მოსამართლე: ლელა მილდენბერგერი).

გადაწყვეტილებას სახდელის სახისა და ზომის შეფარდების შესახებ. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საპროტესტო აქციის მონაწილეს სანქციის ყველაზე მკაცრ ზომას – პატიმრობას უფარდებს. ადმინისტრაციული პატიმრობის სახით თავისუფლების შეზღუდვა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის ინტენსიური ფორმაა, რის გამოც კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ ის უკიდურეს ღონისძიებას უნდა წარმოადგენდეს³⁸ და შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან, ამ სახდელის დაკისრებას თან უნდა ახლდეს შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული არგუმენტაცია, მისი აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე, თუმცა დადგენილებების ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლო სახდელის ყველაზე მკაცრ ზომას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იყენებს.

მაგალითად, სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში 2024 წლის დეკემბრის საპროტესტო აქციაზე დაკავებულ პირს პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის პატიმრობა შეუფარდა³⁹ იმის განმარტების გარეშე, თუ რატომ ვერ მიაღწევდა ადმინისტრაციული ჯარიმა სახდელის დაკისრების მიზნებს. მართალია, აღნიშნულ საქმეში პირი სახდელდადებული იყო, თუმცა ეს ავტომატურად მიუთითებს პატიმრობის გამოყენების აუცილებლობაზე, რადგან ასკ-ის 173-ე მუხლის მე-2 ნაწილი (რომელიც ერთგვაროვან სამართალდარღვევაზე სახდელდადებული პირის მიერ ქმედების ჩადენას ეხება) პატიმრობის გარდა აგრეთვე ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმას.⁴⁰

აღნიშნულ დადგენილებაში სასამართლო თავადვე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებას საქმეზე *Tomasi v. France*, სადაც ხაზგასმულია, რომ პატიმრობის გამოყენება მხოლოდ ჭეშმარიტი საჭარო ინტერესის პირობებში არის გამართლებული. სასამართლო ასევე ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომელიც სახდელის დადების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული, თუმცა ამ ზოგადი განმარტებების ციტირების შემდეგ

38 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილი.

39 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 03 დეკემბრის 4/8725-24 დადგენილება. მოსამართლე: ნინო ენუქიძე.

40 სასამართლოები ადმინისტრაციულ პატიმრობას უფარდებენ არამხოლოდ სახდელდადებულ პირებს, არამედ მათ შორის აქციის იმ მონაწილეებსაც, რომელთა მიმართებითაც არ გამოვლენილა განმეორებითობის ელემენტი. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 19 აპრილის N4-3014/24 დადგენილებით, 5 დღიანი პატიმრობა შეეფარდა პირს ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის. სასამართლო არც ამ საქმეში ასაბუთებდა იმას, თუ რატომ ვერ მიაღწევდა იგივე მიზანს პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ზომა.

პირდაპირ აცხადებს გამოყენებული სახდელის სახედ პატიმრობას და არ განმარტავს, კონკრეტულ შემთხვევაში რატომ მიიჩნია განსაკუთრებული საჯარო ინტერესის არსებობა დადასტურებულად ან რა გარემოებები მიიღო მხედველობაში ყველაზე მკაცრი სახდელის შერჩევის დროს.

2.2. ევროპული სასამართლოს განმარტებების მანიპულაციური ინტერპრეტაცია

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენილებებში სასამართლოები საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, შერჩევითად და კონტექსტთან შეუსაბამოდ იყენებენ. ეს ეხება როგორც საქალაქო/რაიონული, ისე სააპელაციო სასამართლოების დადგენილებებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებში. სხვადასხვა საქმეში არაკეთილსინდისიერად არის გამოყენებული შეკრების, გამოხატვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებების ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა.

დადგენილებებში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირებისას ორ ძირითად პრობლემას ვაწყდებით: სასამართლოები ციტირებენ სტრასბურგის სასამართლოს საბაზისო განმარტებებს, რომლებიც ასახავს ადამიანის უფლებების სტანდარტებს, თუმცა განსახილველ საქმეში სადავოდ გამხდარი გარემოებების შეფასებაზე გავლენას არ ახდენს. მეორე მხრივ, კი სასამართლოები იყენებენ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს კონტექსტთან შეუსაბამოდ, რაშიც იგულისხმება ისეთი გადაწყვეტილებების ციტირება, რომლებიც ფაქტობრივი გარემოებებით არსებითად განსხვავდება განსახილველი საქმისგან ან ცალკეული განმარტებების გამოყენება კონტექსტის/გადაწყვეტილების სრული ტექსტისგან განცალკევებით.

ასეთი ფორმით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების გამოყენება მხოლოდ ფორმალური ლეგიტიმაციის გაზრდასა და დასაბუთების იმიტაციის შექმნას ემსახურება. ამის საპირისპიროდ, საპროტესტო აქციის საქმეებზე საქალაქო/რაიონული და სააპელაციო სასამართლოს დადგენილებებს არაფერი აქვთ საერთო ევროპული სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკასთან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე, 173-ე და 174¹-ე მუხლები ხშირად გამოიყენება საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ. შესაბამისად, ამ მუხლების საფუძველზე ადამიანების დაკავება/დაჭარიმება, როგორც წესი, იწვევს ჩარევას შეკრებისა და გამობატვის თავისუფლებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილებში ვხვდებით ევროპული სასამართლოს ცალკეულ განმარტებებს შეკრებისა და გამობატვის უფლების მნიშვნელობისა და კომპონენტების შესახებ.

მაგალითად: თბილისის საქალაქო სასამართლო 2024 წლის 21 მაისის დადგენილებაში,⁴¹ რომლითაც აქციის მონაწილე 2200 ლარით დაჭარიმდა, გამოყენებულია განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან საქმეზე KUDREVIČIUS AND OTHERS v. LITHUANIA .დადგენილებაში ციტირებული განმარტება შეეხება შეკრების უფლების ფარგლებს. მასში აღნიშნულია, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი იცავს მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლებას და იგი არ ვრცელდება დემონსტრაციაზე, რომლის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ძალადობრივი განზრახვები გააჩნიათ“. ამავე დადგენილებაში სასამართლო ციტირებს კიდევ ერთ განმარტებას – „კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული შეკრების თავისუფლება იცავს დემონსტრაციას, რომელმაც შესაძლოა შეაწუხოს ან შეურაცხყოს პირები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმ იდეებს ან მოთხოვნებს, რის პოპულარიზაციასაც ემსახურება დემონსტრაცია“.

საქმეში *KUDREVIČIUS AND OTHERS v. LITHUANIA* ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა მის მიერვე სხვა საქმეებში დადგენილი სტანდარტი, რომ პროტესტით გამოწვეული სატრანსპორტო/საგზაო შეფერხებების, საცობებისა თუ სხვაგვარი დისკომფორტის სახელმწიფო უნდა იყოს ტოლერანტული. მშვიდობიანი შეკრების პირობებში ამგვარი ხარვეზები საჭარო სივრცეში პროტესტის თანმდევი შედეგია და ავტომატურად არ ემნის კონვენციის მე-11 მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევის საფუძველს.⁴² ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ჩათვალა, რომ საგზაო შეფერხებები არ წარმოადგენდა შეკრების თანმდევ შედეგს და იყო მისი თვითმიზანი, რის გამოც არ დადგინდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა.

41 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 01 მაისის N4/ა-309-24 გადაწყვეტილება.

42 CASE OF KUDREVIČIUS AND OTHERS v. LITHUANIA, Application no. 37553/05. §170.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის გამოყენება თბილისში მიმდინარე უწყვეტი პროტესტის კონტექსტში, პარლამენტის მიმდინარე ქუჩის გადაკეტვის საქმეებში, არ უნდა ჩაითვალოს კეთილსინდისიერ განმარტებად, რადგან სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული საქმე არსებითად განსხვავებულ გარემოებებს ეხებოდა. ევროპულმა სასამართლომ ეს განმარტება გააკეთა ავტომაგისტრალის 48 საათიანი გადაკეტვის პირობებში, რა დროსაც ქალაქის სამ მთავარ გზაზე მოძრაობა ხანგრძლივად ფერხდებოდა. ცალსახაა, რომ სატრანსპორტო გზის რამდენიმე საათით გადაკეტვა, მით უფრო, ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტის არსებობის პირობებში, მხოლოდ ნაკლებად ინტენსიურ დისკომფორტს ან ჰიპოთეტურ საფრთხეებს შეიძლება ქმნიდეს, რის გამოც დემონსტრანტების შეკრების უფლების ფარგლებიც სხვაგვარად უნდა შეფასდეს.

დადგენილებების ფარგლებში კიდევ ერთი შაბლონურად გამოყენებული განმარტება შეკრების და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს ეხება.

მაგალითისთვის, თბილისის სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ დადგენილებაში, რომლითაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის მიერ აქციის მონაწილისთვის შეფარდებული ჯარიმა, აღნიშნავს: „შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის. ამ უფლების, ისევე როგორც გამოხატვის თავისუფლების სხვა ფორმების შეზღუდვა დასაშვებია ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას“. აღნიშნული მსჯელობის გასამყარებლად სასამართლო ციტირებს ევროპული სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებას,⁴³ რომლითაც „უნესრიგობის“ თავიდან აცილების თანაზომიერ ღონისძიებად არის მიჩნეული იმ პირის დაკავება ან დაპატიმრება, რომელმაც „არაფრად ჩააგდო“ პოლიციის გაფრთხილება დემონსტრაციაზე წესრიგის დაცვის შესახებ“.

საქმე, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ ეს განმარტება გააკეთა, არსებითი წესით არ იქნა განხილული, შესაბამისად, საქმის გარემოებები დეტალურად არ არის შეფასებული. ამასთან, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით კონკრეტული საფრთხის არსებობა. განმცხადებლები იარაღით ვაჭრობის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციის შემდეგ სამხედრო ტერიტორიაზე

43 G.L.McBride v. The United Kingdom, appl N27786/95, decision of 5 July 2001.

გადასვლას ცდილობდნენ, სადაც იარაღის გამოფენა იყო და შესაბამისად, დაძაბულობისა და ძალადობრივი კონფლიქტის რისკი მაღალი იყო. ასეთი საფრთხის პრევენცია, რასაკვირველია, შედის პოლიციის უფლებამოსილებებში, თუმცა ამ განმარტების გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ, იმ პირობებში როდესაც ისინი არ აფასებენ მოსალოდნელ საფრთხეებს, არ არის ლოგიკური და რელევანტური.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში, როდესაც აპელანტი მხარე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაზე მიუთითებს, ხშირად არის გამოყენებული დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტზე ევროპული სასამართლოს განმარტებები.

*მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 19 აპრილის დადგენილებაში ვკითხულობთ ციტირებას: „დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას. აღნიშნული უფლება ზედა ინსტანციის სასამართლოებს საშუალებას აძლევთ, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე“.*⁴⁴

დადგენილების თანახმად, ეს განმარტება ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (*Hirvisaari v. Finland*) კონკრეტულ პარაგრაფს (§32), მაშინ როდესაც აღნიშნულ პარაგრაფსა და მთლიანად, გადაწყვეტილებაში რადიკალურად განსხვავებული მსჯელობაა განვითარებული. ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების 32-ე პარაგრაფში მიუთითებს, რომ განმცხადებლის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების მიერ არასათანადო დასაბუთებაზე მითითების შემთხვევაში, ზედა ინსტანციის სასამართლო ვალდებულია საკუთარი დასაბუთება წარმოადგინოს. მოცემულ საქმეში, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სტრასბურგის სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა.

ცხადია, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Hirvisaari v. Finland* ეროვნულ დონეზე სააპელაციო პალატებს ავალდებულებს, შაბლონურად არ დაეთანხმონ პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებებს, როდესაც მხარე გადაწყვეტილების დასაბუთებულობას ხდის სათავედ, თუმ-

44 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 19 აპრილის N4ა/309-24 დადგენილება. (მოსამართლე – ნინო შარაძე).

ცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების ძირითადი არსი ყურადღების მიღმა დატოვა და მხოლოდ კონტექსტის შეუსაბამოდ შერჩეულ ფრაგმენტზე კონცენტრირდა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით (პოლიციელის დაუმორჩილებლობა ან შეურაცხყოფა) განხილულ საქმეებში სასამართლოების მიერ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული განმარტება ეხება სახელმწიფო მოხელეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებს.

მაგალითად: თბილისის საქალაქო სასამართლომ 2024 წლის 31 იანვრის დადგენილების⁴⁵ სამოტივაციო ნაწილში მოიხმო სტრასბურგის სასამართლოს შემდეგი განმარტება.⁴⁶ „სახელმწიფო მოხელეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლების განსაზღვრაზე გავლენას ახდენს თავშეკავებულობის მოთხოვნა, რომელიც გამომხატვის თავისუფლების უფლებით მოსარგებლეებს ეკისრებათ. რადგან პოლიციელებს შემზღუდული აქვთ და ისინი ვალდებული არიან, თავიანთი ქმედებით იზრუნონ იმ ინსტიტუციის რეპუტაციაზე, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ეს გარემოება აძლიერებს სხვათა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას მათდამი კრიტიკის გამოთქმის კონტექსტში. სახელმწიფო მოხელეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, უნდა სარგებლობდნენ საზოგადოებრივი ნდობით და ამიტომ აუცილებლად შეიძლება იქნას მიჩნეული მათი დაცვა შეურაცხყოფელი თავდასხმებისგან“.

ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში ნამდვილად განმარტა, რომ დასაშვები კრიტიკის ფარგლები, რაც პოლიტიკოსების მიმართ არსებობს, შედარებით შემზღუდულია საჯარო მოხელეების მიმართ. საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ჟურნალისტმა საჯარო სივრცეში მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა (დაუძახა „ხეპრე“, „უტვინო“ და სხვ.), მას შემდეგ რაც მათ გარემოვაჭრეებს ახლომდებარე ბაზართან გადასვლა უბრძანეს. ევროპული სასამართლოს ძირითადმა შემადგენლობამ⁴⁷ მიიჩნია, რომ ჟურნალისტის სიტყვები არ იყო საჯარო დისკუსიის ნაწილი იმ საკითხზე, რომელზეც საზოგადოების ინტერე-

45 თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 11 ოქტომბრის N4/ა-927-24 დადგენილება (მოსამართლე ვეფხია ლომიძე).

46 Case of Janowski v. Poland, (Application no. 25716/94), § 33.

47 გადაწყვეტილებას ერთვის 4 მოსამართლის განსხვავებული აზრი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჟურნალისტის გამომხატვის შემზღუდვის გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროება არ ყოფილა გამოკვეთილი საქმის მასალებიდან.

სი არსებობდა.⁴⁸ შესაბამისად, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ არღვევდა კონვენციის მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებელი არ წარმოადგენდა საპროტესტო აქციის მონაწილეს და არც მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მოთხოვნა მიემართებოდა დემონსტრაციას. ეს გარემოება არსებითი შეიძლება ყოფილიყო გამოხატვის ფარგლების განსაზღვრის დროს, რადგან ევროპულ სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განუმარტავს, რომ სახელმწიფო უწყებებს განსაკუთრებული ტოლერანტობა მართებთ საპროტესტო აქციების ფარგლებში მცირე ინციდენტებზე რეაგირებისას.

ეს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა მასშტაბური საპროტესტო აქციის მონაწილის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების დასაბუთებისთვის, მაშინ როდესაც ცალსახაა, რომ განსხვავებით ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმისგან, ამ შემთხვევაში დემონსტრანტის გამოხატვა მიემართებოდა ფართო საზოგადოებისთვის აქტუალურ, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს, რადგან განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა 2024 წლის გაზაფხულზე, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის საწინააღმდეგო ფართომასშტაბიან აქციაზე. კიდევ ერთი არსებითი განსხვავება, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ და სტრასბურგის სასამართლოს მიერ შეფასებულ საქმეებს შორის არსებობს, უკავშირდება გამოხატვის ადრესატს. სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში არსებული მტკიცებულებებით ვერ დასტურდებოდა, რომ აქციის მონაწილის გამოხატვა მიემართებოდა სამართალდამცავებს. თავად პოლიციელებიც კი გამოკითხვის დროს მიუთითებდნენ, რომ არ ჰქონია ადგილი გინებას პოლიციელების მისამართით. სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში კი სადავო არ იყო, რომ გამოხატვა მიემართებოდა საჯარო მოხელეებს და არა პოლიტიკურ პირებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენილებების ანალიზი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ევროპული სასამართლოს განმარტებების ციტირება არ გულისხმობს იმას, რომ ეროვნული სასამართლოები საერთაშორისო სტანდარტებს მიჰყვებიან აქციის მონაწილეების მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული საქმეების ციტირებისას. უფრო მეტიც, როგორც წესი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები პირდაპირ ეწინააღმდეგება მასშივე ნაციტირებ ევროსასამართლოს განმარტებებსა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს.

48 იქვე, § 34.

2.3. სამართალდარღვევების შემადგენლობის ფართოდ განმარტება

იმ ფონზე, როდესაც აქციის მონაწილეების მიმართ ხშირად გამოყენებულ მუხლებს (ასკ-ის 166-ე, 173-ე, 174¹-ე) საკანონმდებლო ხარვეზები აქვთ და მათი დეფინიცია ისედაც იძლევა ნორმების თვითნებური გამოყენების შესაძლებლობას, სასამართლოები სამართალდარღვევების ცალკეული ელემენტების კეთილსინდისიერი ინტერპრეტაციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკის განვითარების ნაცვლად, სულ უფრო და უფრო აფართოებენ სამართალდარღვევის შემადგენლობებს. ეს ტენდენცია გამოკვეთილია სამივე განსახილველ მუხლთან მიმართებით.

შემდეგ ქვეთავებში გაანალიზებული იქნება სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული ყველაზე პრობლემური განმარტებები აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ასკ-ის 166-ე, 173-ე და 174¹-ე მუხლებით განხილულ საქმეებში.

2.3.1. კანონიერი მოთხოვნის განმარტება (ასკ-ის 173-ე მუხლის ფარგლებში)

როგორც უკვე აღინიშნა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს არა მოხელის ყველა მოთხოვნის, არამედ მხოლოდ კანონიერი მოთხოვნის ან განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობისთვის, თუმცა სასამართლო, როგორც წესი, არ შედის მოთხოვნის კანონიერების შემოწმების საკითხში ან ფორმალურად, პოლიციელისა ან სხვა მოხელის უფლებამოსილებების მარეგულირებელ ნორმას უთითებს, რაც პრობლემური პრაქტიკაა. სასამართლო ინდივიდუალური საქმის ფარგლებში უნდა აფასებდეს არა მხოლოდ იმას, კანონმდებლობა, ზოგადად, რამდენად ანიჭებს შესაბამისი განკარგულების გამოცემის უფლებას, არამედ კონკრეტულ ვითარებაში რამდენად არსებობდა შესაბამისი მოთხოვნის გაცემის საფუძველი. სხვა შემთხვევაში, გამოდის, რომ მოხელის ნებისმიერი მითითების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს.

განსაკუთრებულად პრობლემურია, რომ სასამართლო არაერთ საქმეში იზიარებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საპროტესტო აქციაზე ტექნიკური საშუალებებით გაჟღერებული გაფრთხილება აქციის დაშლის შესახებ არის პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა და შესაბამის-

სად, ყველა პირი, რომელიც პროტესტის ადგილას დარჩება ამ გაფრთხილების გაჟღერების შემდეგ, შეიძლება ჩაითვალოს ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენად. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, რომ მოთხოვნა ან განკარგულება (ასკ-ის 173-ე მუხლის მიზნებისთვის) აუცილებლად ინდივიდუალური უნდა იყოს, შესაბამისად ის შეიძლება ზოგად ხასიათს ატარებდეს და პირთა გარკვეულ ჯგუფს მიემართებოდეს, აქციის დაშლის შესახებ ხმოვანი შეტყობინების პოლიციის კანონიერ მოთხოვნად ავტომატური მიჩნევა, პრობლემური ტენდენციაა.

სასამართლოს პირდაპირი ვალდებულებაა, შეაფასოს პოლიციელის ან ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა მოხელის მოთხოვნის კანონიერება, რაც გულისხმობს იმის განხილვას, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად არსებობდა ამ მოთხოვნის/განკარგულების გაცემის საფუძველი. შესაბამისად, სასამართლო კანონიერად ვერ მიიჩნევს საპროტესტო აქციაზე ტექნიკური საშუალებით გაჟღერებულ გაფრთხილებას აქციის დაშლის შესახებ, თუ ვერ დასაბუთდება, რომ შეკრების ფარგლებში კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივი ქმედებები აღწევდა იმ მასშტაბს, რომელიც შეკრების მასობრივი დაშლის მოწოდებას გამართლებდა. ამის მიუხედავად, ფაქტობრივად, არცერთ დადგენილებაში სასამართლო არ მსჯელობს იმაზე, გამოვლენილი დარღვევები ინციდენტური იყო თუ მასშტაბური და ამის გათვალისწინებით, რამდენად კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს შსს-ის მოწოდება აქციის დაშლის შესახებ.

მაგალითად: თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი სხდომის ოქმის თანახმად, ერთ-ერთ საქმეში, სადაც პასუხისგებაში მიცემული პირის ადვოკატი ითხოვს აქციის დაშლის შესახებ ტექნიკური მოწოდების კანონიერების შეფასებას, მოსამართლე პირდაპირ აცხადებს, რომ შეკრების მასობრივი დაშლის პროპორციულობას ვერ შეაფასებს. მისი თქმით, დადასტურებულია ფაქტები როგორც პოლიციელების, ისე აქციის მონაწილეების ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ, ხოლო რამდენად მასობრივი იყო ეს ძალადობრივი ქმედებები, სხვა საშუალებით რამდენად მიიღწეოდა უსაფრთხოების მიზნები და კანონიერი იყო თუ არა დაშლის მოწოდება, ეს პროცესის ფარგლებში ვერ შეფასდებოდა და არც იყო რელევანტური.⁴⁹

შესაბამისად, აშკარაა, რომ სასამართლოები ყველა შემთხვევაში შაბლონუ-

49 სასამართლო სხდომის ოქმი, მოსამართლე: ლელა მილდენბერგერი, ადმინისტრაციული პასუხისგებაში მიცემული პირი – გ.ჩ. სხდომის თარიღი: 04.12.2024.

რად განმარტავენ კანონიერი მოთხოვნის კომპონენტს. სამართლიანი განხილვის ფარგლებში, მათ მოეთხოვებათ, პირველ რიგში, იმის შეფასება არსებობდა თუ არა შსს-ის მხრიდან აქციის დაშლის მოწოდებების გავრცელების საფუძველი, შემდეგ კი – იმის განსაზღვრა, რამდენად იყო დაცული კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნები (იყო თუ არა გაფრთხილება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი პროტესტის ადგილას მყოფი მოქალაქეების რაოდენობის გათვალისწინებით, დაცული იყო თუ არს გონივრული პერიოდულობა და ა.შ.) ამის მიუხედავად, სასამართლო დადგენილებებში არცერთ შემოჩამოთვლილ კომპონენტზე არ მსჯელობს.

2.3.2. საჯარო სივრცის განმარტება (ასკ-ის 166-ე მუხლის ფარგლებში)

ასკ-ის 166-ე მუხლის მიზნებისთვის წვრილმან ხულიგნობად მიიჩნევა საჯარო სივრცეში საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დამრღვევი ქმედება. საჯარო სივრცის დეფინიციაში სასამართლო პრაქტიკით, ექცევა სოციალური მედიაც. წვრილმანი ხულიგნობის შემადგენლობის ამ ფორმით გაფართოება ციფრულ სივრცეში საპოლიციო კონტროლის გავრცელებას ისახავს მიზნად.

თბილისის საქალაქო სასამართლომ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენისთვის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო პირი, რომელიც სოციალურ ქსელ TikTok-ში განთავსებული ვიდეოთი მწვავე კრიტიკას აფიქსირებდა ქალაქ თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართ. გამოხატვა მიემართებოდა ადამიანებს, რომლებიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებენ და პრივილეგიები მდგომარეობით სარგებლობენ (მოძრაობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილ ზოლში – ე.წ. ბასლეინზე). პროტესტი მიემართებოდა იმ პოლიციელებსაც, რომლებიც შერჩევითად აჯარიმებენ მოქალაქეებს. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ სოციალური ქსელი – TikTok მიიჩნია ასკ-ის 166-ე მუხლით განსაზღვრულ საზოგადოებრივ სივრცედ.⁵⁰

ზოგადად, სოციალური მედიის საზოგადოებრივ სივრცისთვის მიკუთვნება ახალი არ არის სასამართლო პრაქტიკისთვის, თუმცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კონტექსტში და კონკრეტულად, წვრილმანი ხუ-

50 ინფორმაცია ეყრდნობა საჯარო წყაროებს. Palitra News – „ჭარიმა TikTok-ზე გინების გამო – სასამართლომ კურიერი 2000 ლარით დააჯარიმა.“, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/HeuvGLxw>

ლიგნობის შემადგენლობის განმარტების მიზნებისთვის, სოციალური ქსელის საჯარო სივრცედ ავტომატურად მიჩნევა შესაძლოა არ იყოს ლოგიკური და გამართლებული. წვრილმანი ხელიგნობისთვის პასუხისმგებლობის დაწესებით კანონმდებლობა მიზნად ისახავს მოქალაქეთა სიმშვიდის დაცვას. სოციალურ ქსელში კი ადამიანებს მეტი ავტონომია აქვთ და თავად განკარგავენ იმას თუ რა სახის კონტენტს გაეცნობიან (დაასრულებენ თუ არა ვიდეოს ყურებას). შესაბამისად, მინიმალურია ის ზიანი, რომელიც მათ სიმშვიდეს ან საზოგადოებრივ წესრიგს შეიძლება მიაღგეს, თუ შემთხვევით აღმოჩნდებიან ვიდეოს სამიზნე აუდიტორიაში და მოისმენენ ვიდეომასალის მცირე ნაწილს. განსხვავებით სოციალური ქსელებისგან, ფიზიკურ სივრცეში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევებზე პირს ნაკლებად შეუძლია ინდივიდუალური რეაგირება. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილებით დამკვიდრებული სტანდარტი სახიფათო პრეცედენტია, რომელიც ეწინააღმდეგება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების არსებულ სტანდარტებს.

2.3.3. გზის ხელოვნურად გადაკეტვის განმარტება (ასკ-ის 174¹-ე მუხლის ფარგლებში)

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11¹ მუხლის მე-4 პუნქტით, აკრძალულია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა. ცალსახაა, რომ „ხელოვნური გადაკეტვა“ შეფასებითი ტერმინია და შესაბამისად, მისი ინტერპრეტაცია სრულად შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოს განმარტებებზეა დამოკიდებული.

ასკ-ის 174¹-ე მუხლით განხილულ საქმეებზე სასამართლოს დადგენილებების ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლოები ან საერთოდ არ მსჯელობენ ხელოვნურად ბლოკირების კრიტერიუმზე და გზის სავალ ნაწილზე დგომას ავტომატურად თვლიან სამართალდარღვევად ან ამ კრიტერიუმს ტროტუარზე თავისუფალი ადგილის არსებობის მიხედვით წყვეტენ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2025 წლის 07 მარტის დადგენილებით, მოქალაქეს 5000 ლარიანი ჯარიმა დააკისრა გზის სავალი ნაწილის ბლოკირებისთვის და საქმეში გზის ხელოვნურად ბლოკირების ელემენტი მხოლოდ იმის დაასაბუთა, რომ „პასუხისგებაში მიცემული

*პირის გზის სავალ ნაწილზე ყოფნის დროს პროტესტის გამოხატვა შე-
საძლებელი იყო ტროტუარზეც“.⁵¹*

*პასუხისგებაში მიცემული პირი აღნიშნულ საქმეში იყო აქციის მონა-
წილე, რომელიც გზის სავალ ნაწილზე პოლიციის მიერ გზის გადა-
კეტვის შემდეგ გადავიდა, თუმცა სასამართლო პრაქტიკით, ეს ფაქ-
ტორი არ ახდენს გავლენას სამართალდარღვევის შემადგენლობის
არსებობაზე.*

გზის გადაკეტვის საქმეებში აქციის მონაწილეებისთვის მხოლოდ შსს-ის ვიდე-
ოჩანაწერებისა და ზედხედიდან გადაღებულ ვიდეოჩანაწერებში ტროტუარზე
თავისუფალი სივრცის არსებობის გამო პასუხისგების დაკისრება ეწინააღმ-
დეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. ეუთოს დემოკ-
რატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR)
რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფო ტოლერანტული უნდა იყოს პრო-
ტესტის ფარგლებში მცირე საგზაო შეფერხებების, საცობებისა და მოსახლე-
ობის ნაწილისთვის შექმნილ დისკომფორტის მიმართ, რადგან საჯარო სივ-
რეები ისევე განკუთვნილი ადამიანების შეკრებისთვის, როგორც სხვა ტიპის
აქტივობებისთვის.⁵² გზის გადაკეტვა შეკრების თავისუფლების ფარგლებს შე-
საძლოა გასცდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ნორმალური ცხოვ-
რებისა და სხვების მიერ განხორციელებული კანონიერი ქმედებებისთვის
ხელის იმგვარ შეშლას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო ად-
გილას შეკრების უფლების რეალიზების შედეგად გამოწვეულ შეფერხებას.⁵³

შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვებათ, შეაფასონ ინტერესთა ბა-
ლანსი და ცალკეულ შემთხვევებში გზის ბლოკირებით გამოწვეული ზიან-
ი, ასევე კონკრეტული პირის როლი ამ ზიანის გამოწვევაში (იყო თუ არა
ბლოკირების „ინიციატორი“, გადავიდა თუ არა ის გზის სავალ ნაწილზე
პოლიციის მიერ გზის გადაკეტვის შემდეგ და სხვ.). ასეთი კონკრეტული გა-
რემოებების მიმოხილვის ნაცვლად, შსს-ის წარმომადგენლები სასამართ-
ლო პროცესზე მიუთითებენ ჰიპოთეტურ საფრთხეებზე (აღნიშნავენ, რომ
რუსთაველის გამზირზე შეიძლება გადაადგილდებოდეს სასწრაფო ან სა-
ხანძრო სამსახურის ავტომობილები და შესაბამისად, გზის ბლოკირებამ

51 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 07 მარტის 4/725-25 დადგენილება.
(მოსამართლე – მანუჩარ ცაცუა).

52 ODIHR – „ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ
ნესერიგის დაცვის შესახებ“, გვ. 15. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/xrz1W4N3>

53 რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/dz4bAsj>

მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს), რასაც უპირობოდ იზიარებს სასამართლოც.⁵⁴

2.3.4. მტკიცების ტვირთის განაწილება

2025 წლის თებერვლამდე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ არსებობდა ჩანაწერი მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ. ეს, რასაკვირველია, არ გამოიწვევდა საერთო სასამართლოების ლეგიტიმურ შესაძლებლობას, განევიტარებინათ პოზიტიური პრაქტიკა და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლისა (საპროცესო უფლებები) და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განემართათ მტკიცების ტვირთის განაწილებისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტები, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით წლების განმავლობაში უკიდურესად პრობლემური იყო.

სასამართლოები დადგენილებებში პირდაპირ უთითებდნენ, რომ საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობა ნიშნავდა იმას, რომ მტკიცების ტვირთი ოქმის შემდგენ ორგანოსა და პასუხისგებაში მიცემულ პირს შორის თანაბრად უნდა განაწილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლო „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციების ფარგლებში დაკავებული ერთ-ერთი პირის საქმეში⁵⁵ განმარტავს: „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ადგენს მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტს მოდავე მხარეებს შორის, რაც ნიშნავს იმას, რომ როგორც სამართალდამრღვევის ოქმის შემდგენს, ისე სამართალდარღვევაში ბრალეულ პირს ერთნაირად აკისრიათ მტკიცების ტვირთი – ადასტურონ ან უარყონ სამართალდარღვევის ოქმში მითითებული მონაცემები. მოდავე მხარეებზე ტვირთი აუცილებლად პროპორციულად უნდა განაწილდეს. მტკიცების შესაძლებლობა არ არის შეზღუდული. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ აქციის მონაწილისთვის ასკ-ის 173-ე მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლიანობა შემდეგნაირად განმარტა: „საჩივრის ავტორმა ვერ უზრუნველყო იმ ფაქტის დამტკიცება, რომ მისი მხრიდან

54 თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმი, სხდომის თარიღი: 08.05.2025, (მოსამართლე: ლელა ცაგარეიშვილი).

55 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 11 ოქტომბრის N330510024009305157 დადგენილება, მოსამართლე: ვეფხია ლომიძე, პასუხისგებაში მიცემული პირი – გ.მ.

ადგილი არ ჰქონია სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს. ამასთან, არ იკვეთება პოლიციელების ჩვენებების სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი“.

გარდა იმისა, რომ მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება უხეშად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა და არგუმენტები სხვა მხრივაც არის პრობლემური. კერძოდ, სასამართლო ყურადღების მიღმა ტოვებს იმ გარემოებას, რომ სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ ორგანოს ბუნებრივად აქვს მტკიცებულების მოპოვების მეტი შესაძლებლობა, რის გამოც იმთავითვე უნდა გამოირიცხულიყო ტვირთის პროპორციულად განაწილების საკითხი.

განსაკუთრებულად პრობლემურია ის გარემოება, რომ მტკიცების ტვირთის „პროპორციული განაწილების“ პირობებშიც კი სასამართლო უპირატესობას ანიჭებს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების ახსნა – განმარტებებს დაკავებული პირის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან შედარებით. შესაბამისად, გამოდის, რომ საქმეში მხოლოდ მხარეების ახსნა-განმარტებების არსებობის პირობებში, პირს უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რადგან პოლიციელების ჩვენებებს სასამართლო უფრო სანდო მტკიცებულად თვლის, ვიდრე თავად დაკავებული პირის ახსნა-განმარტებას. ასეთი მიდგომა, ბუნებრივია, ახალისებს სამართალდამცავ უწყებას, რომ არ მიიღოს შესაბამისი ზომები ინდივიდუალურ საქმეებში დამატებითი, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების მიზნით, რადგან მხოლოდ მათი ახსნა-განმარტება ისედაც საკმარისი საფუძველია პირის სამართალდამრღვევად ცნობისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, 2025 წლის 6 თებერვლის რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველ ნორმებთან ერთად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა საქმის განხილვისა და მტკიცებულებების შეფასების რამდენიმე წესი. ამ ცვლილებებით, კოდექსში გაიწერა, რომ სამართალდარღვევის მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელ ადმინისტრაციულ ორგანოს.⁵⁶ მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ ჩანაწერი, სავარაუდოდ, საერთაშორისო სტანდარტებსა და კონსტიტუციურ პრინციპებთან აშკარად წი-

⁵⁶ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ნააღმდეგობრივი პრაქტიკის შენიღბვას ემსახურება. ამ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას სასამართლო პრაქტიკაში ამ დროისთვის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია.

თბილისის საქალაქო სასამართლო ამ საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ მიღებულ დადგენილებაში მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტებს განსხვავებული ფორმულირებით ხსნის.

სასამართლო ასკ-ის 174¹-ე მუხლით (გზის გადაკეცვა) განხილულ საქმეში⁵⁷ მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით განმარტავს: სამართალწარმოების პროცესში ფაქტების დამტკიცებას იწყებს ოქმის შემდგენი, რომელმაც უნდა დაადასტუროს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი. მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მხარეს გადადის მხოლოდ მაშინ, რაც ოქმის შემდგენი ორგანო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულებებით დაამტკიცებს სამართალდარღვევის ოქმში მითითებულ გარემოებებს”.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ ეს განმარტება უფრო საფუძვლიანი და ლოგიკური ჩანს, ვიდრე თებერვლამდე მიღებულ დადგენილებებში მითითებული სტანდარტი, პრაქტიკულ დონეზე „განახლებული“ მიდგომა არაფერს ცვლის. სასამართლო კვლავ მიუთითებს, რომ პოლიციელების ჩვენება უფრო სანდრო და დამაჯერებელი მტკიცებულებაა, ვიდრე პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება. გამოდის, რომ ოქმში მითითებულ გარემოებებს შსს მათი მონშეების ახსნა-განმარტებებით „დაამტკიცებს“, შემდეგ კი ტვირთი კვლავ ინდივიდუალურ პირზე გამოდის, რომლის ჩვენებასაც სასამართლო იმთავითვე ნაკლებად სარწმუნოდ მოიაზრებს. ამიტომ, ის ვერ შეძლებს, დაამტკიცოს, რომ პოლიციელების ახსნა-განმარტება რეალობას არ შეესაბამება და სამართალდარღვევა არ ჩაუდენია.

აშკარაა, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების სამართლიანი ინსტრუმენტი პრაქტიკაში მანამ ვერ ამოქმედდება, სანამ სასამართლო საპროტესტო აქციის საქმეებს მხოლოდ შსს-ის მტკიცებულებების საფუძველზე განიხილავს და მათ ავტომატურად სანდო ინფორმაციად მიიჩნევს.

57 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 14 თებერვლის N4/935-25 წერილი.

2.4. დაკავების კანონიერების შემოწმება

საქართველოს კანონმდებლობით, ადმინისტრაციული დაკავება სამართალდარღვევის საქმეების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ზომაა, რაც იმას ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, დაკავება არ გულისხმობს სამართალდარღვევის არსებობას და მეორე მხრივ, სამართალდარღვევის გამოვლენა ყველა შემთხვევაში არ მოითხოვს პირის დაკავებას. უზრუნველყოფის ზომები, მათ შორის ადმინისტრაციული დაკავება, კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ მიზნებს – დარღვევის აღკვეთას, პრევენციას, სამართალდამრღვევის ოქმის შედგენას, საქმის დროულად განხილვას, მიღებული დადგენილების აღსრულებასა და სამართალდამრღვევის პირის სასამართლოში გამოცხადების ან/და ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფას ემსახურება. დაკავებასთან ერთად სამართალდარღვევის საქმეების უზრუნველყოფის ზომებს მიეკუთვნება პირადი და ნივთების გასინჯვა, დოკუმენტებისა და ნივთების ჩამორთმევა.⁵⁸

ადმინისტრაციული დაკავების დროს, ადამიანის ცხოვრებაში ინტენსიური შინაარსის ჩარევა ხორციელდება, შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, პირის დაკავების დროს შეაფასონ თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა. ამაზე საუბრობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებით „ძერყორაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) დარღვევა დაადგინა.⁵⁹ სასამართლო მიუთითებს, მომჩივანთა ადმინისტრაციული წესით დაკავება იყო თვითნებური და დაუსაბუთებელი ღონისძიება, რადგან არ შეფასებულა დაკავების აუცილებლობა. იმავე საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ადმინისტრაციული დაკავებისას უნდა გაითვალისწინოს გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის კონტექსტი.

კანონმდებლობით, ადმინისტრაციული დაკავება გამოიყენება არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ყველა სამართალდარღვევაზე, არამედ სპეციალური მუხლით ჩამოთვლილ კონკრეტულ დარღვევებზე. ამ ჩამონათვალში ექცევა საპროტესტო აქციებზე ყველაზე ხშირად გამოყენებული მუხლები, მათ შორის: წვრილმანი ხულიგნობა

58 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი.

59 DZERKORASHVILI AND OTHERS v. GEORGIA no. 70572/16.

(ასკ-ის 166-ე მუხლი), პოლიციელის მოთხოვნისადმი ან განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა (ასკ-ის 173-ე მუხლი), შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა (ასკ-ის 174¹-ე მუხლი), რაშიც მოიაზრება საპროტესტო აქციაზე ნიღბის, ლაზერის ტარება, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეცვა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ასკ-ის 174¹-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საფუძველზე პირის დაკავების შესაძლებლობას, ბოლო თვეების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის წესის დარღვევის გამოვლენისთვის შსს არ იყენებს ადმინისტრაციული დაკავების მექანიზმს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასკ-ის 174¹-ე მუხლთან ერთად შსს აქციის მონაწილეს პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასაც ედავება). ამის საპირისპიროდ, ადმინისტრაციული დაკავება, წლებია, აქტიურად გამოიყენება ასკ-ის 166-ე და 173-ე მუხლებით პასუხისგებაში მიცემული დემონსტრანტების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული დაკავება ინტენსიური მზლუდავი ღონისძიებაა და წლებია პრობლემურად ითვლება აღნიშნული ღონისძიების მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა მიმართ გამოყენების კანონიერება, შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ არ აწარმოებს დაკავების ოფიციალურ სტატისტიკას.⁶⁰ სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადების საფუძველზე, გასული წლის ნოემბერში სახალხო დამცველმა სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებით მიმართა,⁶¹ თუმცა შსს-ის მიდგომა არც ამ წინადადების შემდეგ შეუცვლია.

დაკავების სტატისტიკის არარსებობის მიუხედავად, დროებითი მათავსების იზოლატორში (დმი) შესახლების შესახებ შსს-ის მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემები დაახლოებით მაინც იძლევა ამ მექანიზმის მასშტაბების შეფასების შესაძლებლობას.⁶² 2024 წელს დმი-ში შესახლებულ პირთაგან 72%-ს აღემატებოდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც შსს წვრილმან ხულიგნობას (ასკ-ის 166-ე მუხლი), პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩი-

60 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რა ხარვეზები აქვს საბჭოთა დროინდელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს? 14, 03, 2025. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/urdqFq6l>

61 სახალხო დამცველის განცხადება სოციალურ ქსელში, 20.11.2024. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/xrflpvvr>

62 შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით მათავსების იზოლატორში მოთავსებულ პირთა სტატისტიკა წლების მიხედვით. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Te6Qu4C4>

ლებლობას (ასკ-ის 173-ე მუხლი) ან შეკრების წესის დარღვევას (ასკ-ის 174¹ მუხლი) ედავებოდა.⁶³ სამივე მათგანი საპროტესტო აქციებზე ხშირად გამოყენებულ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება. შესაბამისად, ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ დაკავების რეპრესიული მექანიზმი, ხშირ შემთხვევაში, მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების მისამართით გამოიყენება.

სახდელის დაკისრებამდე სწორედ ადმინისტრაციული დაკავებაა ის რეპრესიული მექანიზმი, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო თვითნებურად და უკანონოდ იყენებს მასშტაბური საპროტესტო აქციების ფარგლებში. დაკავება სისტემურად გამოიყენება როგორც პროტესტის ადგილას, ისე საპროტესტო ადგილის დატოვების შემდეგ.⁶⁴ ადმინისტრაციული დაკავების თვითნებურად გამოყენების ტენდენციას ახალისებს ისიც, რომ არ არსებობს მისი კანონიერების შემოწმების ეფექტიანი პროცედურა.

დაკავების კანონიერება სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ფარგლებში არ მოწმდება. კანონმდებლობა ადგენს, რომ დაკავება, ისევე როგორც უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებები, დაინტერესებულმა პირებმა თავდაპირველად ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან უნდა გაასაჩივრონ. შესაბამისად, დაკავების კანონიერება შინაგან საქმეთა სამინისტროში საჩივრდება და სასამართლო მხოლოდ სამართალდარღვევის არსებობის საკითხზე მსჯელობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკავების კანონიერების გასაჩივრების მექანიზმი რამდენიმე მიზეზის გამო არის არაეფექტიანი:

- **საქმეების ხელოვნურად დაყოფა**

მართალია, დაკავება სამართალდარღვევის არსებობასთან კავშირში არ არის, შესაბამისად, სამართალდარღვევის დადასტურება ავტომატურად არ მიუთითებს დაკავების საფუძვლიანობას, თუმცა სამართალდარღვევისა და დაკავების საქმეები, პრაქტიკულად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ეს განსაკუთრებით ცალსახაა მაშინ, როდესაც საქმე საპროტესტო აქციის მონაწილეს ეხება და შსს მას ასკ-ის 166-ე ან/და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ

63 ასკ-ის 166, 173 მუხლებით – 2030 პირი, ასკ-ის 166-ე მუხლით – 245 პირი, ასკ-ის 173-ე მუხლით – 1437, ასკ-ის 173, 174¹ მუხლებით – 8 პირი.

64 ვრცლად იხ. სამოქალაქო ორგანიზაციების ანგარიში, „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ“, გვ. 86.

სამართალდარღვევის ჩადენას ედავება. მასშტაბურ საპროტესტო აქციებზე შსს, როგორც წესი, სამართალდარღვევის ოქმს არ უდგენს პირს პროტესტის ადგილას და დაკავების საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, აკავებს მას. ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, დაკავების კანონიერების საკითხის სამართალდარღვევის საქმისგან დამოუკიდებლად განხილვა საქმეების ხელოვნურად დაყოფას ემსგავსება და არ არის მიზანშეწონილი, მათ შორის სასამართლოს დატვირთულობის გათვალისწინებითაც. დაკავების კანონიერება სამართალდარღვევის საქმის ფარგლებში რომ მოწმდებოდეს, შსს ვალდებული იქნებოდა, მოწმის სახით სწორედ დამკავებელი პოლიციელები დაეკითხა და არა სხვა თანამშრომლები, რომლებიც შორიდან ადევნებდნენ თვალს დაკავებისა და სამართალდარღვევის პროცესს და როგორც წესი, დეტალურ ინფორმაციას საქმის ინდივიდუალური გარემოებების შესახებ არ ფლობენ.

• განხილვის გაჭიანურება

კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების განხილვის ვადას. შედეგად, გადაწყვეტილების მიღება ხშირად არაგონივრულად ჭიანურდება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დაკავების კანონიერების საჩივრის განხილვის სპეციალურ ვადებს არ განსაზღვრავს და მასზე საჩივრის განხილვის ზოგად წესებს ავრცელებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილება ერთი თვის ვადაში უნდა იქნას მიღებული. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ვადის გაგრძელების შესაძლებლობას, თუმცა არ ადგენს, მაქსიმუმ რა ვადით შეიძლება გახანგრძლივდეს მისი განხილვა.⁶⁵ პრაქტიკაში, საჩივრის განხილვა თვეების განმავლობაში ჭიანურდება და სათანადოდ არ არის დასაბუთებული ვადის გახანგრძლივების საჭიროება.

მგალითად: 2024 წლის იანვარში კეკელიძის ქუჩაზე მიმდინარე გამოსახულებისა და დაკავებული პირის დაკავების კანონიერება შსს-ს საჩივრით მმართველად წელიწადისა და სამი თვის შემდეგაც არ აქვს შეფასებული, მაშინ როდესაც სააპელაციო სასამართლომ სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილება გასული წლის მაისში გამოიტანა. შესაბამისად, ფორმალურადაც არ არსებობს საჩივრის განხილვის გაჭიანურების საფუძველი.

65 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი.

• შსს-ის მიერ საჩივრის ვადის დინების შეჩერების პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ცალსახად მიჰნავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს დაკავების კანონიერებისგან და მათი განხილვისთვის განსხვავებულ პროცედურებს ადგენს, შსს ადმინისტრაციულ საჩივარს არ განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ეს ნიშნავს იმას, რომ, ხშირ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის მიერ მიღებული დადგენილება არ არის საკმარისი და შინაგან საქმეთა სამინისტრო საჩივრის განხილვის ვადის დინებას აჩერებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მაგალითად: სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 2024 წლის 14 დეკემბერს დაკავებული პირის საქმეზე შსს-ის საჩივრით მიმართა. შსს-მ 23 დეკემბრის დადგენილებით შეაჩერა დაკავების კანონიერების განხილვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების ძალაში შესვლამდე.⁶⁶

სამართალდარღვევის საქმე დაკავებიდან ოთხი თვის თავზე კვლავ პირველი ინსტანციის ეტაპზეა და ცხადია არსებობს შანსი იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილების მიღებასა და მის კანონიერ ძალაში შესვლას კიდევ თვეები დასჭირდეს. ამ დროის განმავლობაში კი შსს-ში დაკავების კანონიერების შესახებ საჩივრის ერთთვიანი ვადის დინება შეჩერებული იქნება. ვადის გაჭიანურებასთან ერთად პრობლემურია, რომ შსს დადგენილებაში არ მიუთითებს, რატომ არის საჩივრის განხილვისთვის საჭირო სამართალდარღვევის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების არსებობა.

2.5. პრაქტიკის არათანმიმდევრულობა

საპროტესტო აქციის საქმეებში გამოკვეთილია სასამართლო პრაქტიკის არათევაროვნების პრობლემა როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცალკეული დარღვევების შემადგენლობების განმარტების, ისე სახდელის შერჩევის ნაწილში. არათევაროვნება არამხოლოდ სხვა-

⁶⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 23 დეკემბრის დადგენილება (ნერილის N MIA 2 24 03885601).

დასხვა ინსტანციის ან მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებში შეინიშნება, არამედ, ცალკეულ შემთხვევებში, გვხვდება ერთი და იმავე მოსამართლის მიერ მიღებულ დადგენილებებშიც.

საერთაშორისო სტანდარტებით ცალსახად არის აღიარებული, რომ განსხვავებული ინტერპრეტაციები გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია და ის ნებისმიერი სასამართლო სისტემისთვის არის დამახასიათებელი. შესაბამისად, სასამართლოს სხვადასხვა შემადგენლობა შეიძლება ერთსა და იმავე სამართლებრივ საკითხზე, მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, მივიღდეს განსხვავებულ, მაგრამ გონივრულ და დასაბუთებულ დასკვნამდე, თუმცა სამართლებრივი განსაზღვრულობა და პროგნოზირების შესაძლებლობა განუყოფელია სამართლის უზენაესობისგან. ნებისმიერ პირს უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ მათი ქმედებების ან უმოქმედობის სამართლებრივი შედეგების პროგნოზირებისთვის შეუძლიათ დაეყრდნონ ნარსულ გადაწყვეტილებებს.⁶⁷

სახდელის შერჩევასთან დაკავშირებით განსაკუთრებით შესამჩნევია ორი ტენდენცია:

- მოსამართლეები იყენებენ განსაკუთრებულად მკაცრ სახდელებს, მაშინ როდესაც საქმის განხილვის ეტაპზე პროტესტი კვლავ აქტიური და მასშტაბურია. „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციების მიმდინარეობისას განხილულ საქმეებში სასამართლო უფრო მკაცრი მიდგომით გამოირჩეოდა იმ საქმეებთან შედარებით, რომელთა განხილვაც აქტიური პროტესტის დასრულების შემდეგ ჩაინიშნა. აქტიური პროტესტის მიმდინარეობისას სიტყვიერი შენიშვნის მექანიზმს სასამართლოები პრაქტიკულად არ იყენებენ. ეს ტენდენცია ააშკარავებს იმას, რომ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება ინდივიდუალურ სამართალდარღვევაზე რეაგირების ნაცვლად, უფრო ფართოდ, პროტესტის განგრძობადობაზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.
- გამორჩეულად მკაცრ სახდელებს მოსამართლეები უფარდებენ პროტესტის განსაკუთრებულად აქტიურ მონაწილეებს, რომლებიც სისტემატურად ხდებიან სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სხვადასხვა ფორმით დევნის ობიექტი. ხშირად სასამართლო ასეთ დემონსტრანტებს ადმინისტრაციულ პატიმრობას უფარდებს და ამ გზით ცდილობს მათ დასჯას.

67 Council of Europe – Reasoning of Judicial Decisions. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/mrfoqZPI>

მაგალითად: ორი იდენტური ფაქტობრივი გარემოებების პირობებში პირველი ინსტანციის სასამართლოს ორმა მოსამართლემ არსებითად განსხვავებული სახდელის დააკისრა აქციის მონაწილეებს. ორივე მათგანი ერთი და იგივე დროს და საფუძვლით დააკავეს, იდენტური ფორმით ჰქონდათ შედგენილი სამართალდარღვევის და დაკავების ოქმები, საქმის განხილვაც ერთი და იგივე დღეს გაიმართა, თუმცა სასამართლომ ერთ-ერთ მათგანს ადმინისტრაციული ჯარიმა შეუფარდა, მეორეს კი – პატიმრობა.⁶⁸ ორივე შემთხვევაში შსს მიუთითებდა, რომ საპროტესტო აქციიდან დაბრუნებული პირები გამოკითხვის მიზნით გააჩერა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა მოსთხოვა, რასაც მათი მხრიდან აგრესიული ქმედებები მოჰყვა. რეალურად კი ისინი მომენტალურად დააკავეს, ისე რომ არც მიუციათ დრო დოკუმენტის წარმოდგენისთვის.

კიდევ უფრო პრობლემურია, რომ სასამართლომ ორივე შემთხვევაში ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ დამკავებელი პოლიციელები სამოქალაქო ფორმას ატარებდნენ და არც თავი წარუდგენიათ მოქალაქეებისთვის. თუ პირისთვის პოლიციელი იდენტიფიცირებადი არ არის, თავისთავად უნდა გამოირიცხოს პოლიციელის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის (ასკ-ის 173-ე მუხლი) შემადგენლობის არსებობა.

68 დადგენილება, რომლითაც პროტესტის მონაწილეს ადმინისტრაციული ჯარიმა შეუფარდა, ეკუთვნის მოსამართლე ზვიად ცეკვაძას, პატიმრობის გადაწყვეტილება კი მოსამართლე ლელა მილდენბერგერმა მიიღო.

შეჯამება

აშკარაა, რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებებში ჩარევა, მასშტაბური პროტესტის ფარგლებში, საზოგადოებრივი წესრიგის, მმართველობის წესისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის მიზნებს სცდება და პოლიტიკური შინაარსის პროტესტისა და კრიტიკის ჩახშობის ინსტრუმენტად გამოიყენება.

შეკრების/მანიფესტაციების მონაწილეების უფლებების სისტემურ დარღვევას ერთი მხრივ, ბუნდოვანი და განუჭვრეტელი კანონმდებლობა, მეორე მხრივ, კი სასამართლო კონტროლის არაეფექტიანობა განაპირობებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური და ფუნდამენტური ხარვეზები, მათ შორის სათანადო პროცესუალური გარანტიების არარსებობა, განსაკუთრებით მკაფიოდ სწორედ შეკრების ფარგლებში გამოიყენებად მუხლებზე, როგორც გავრცელებულ და ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე, ვლინდება.

დოკუმენტის ფარგლებში განხილულ ყველა სამართალდარღვევას აქვს ფართო, განუჭვრეტელი შემადგენლობა, რაც თვითნებური ინტერპრეტაციის რისკებს აჩენს. თითოეული მათგანისთვის გათვალისწინებულია არაპროპორციული და ფაქტობრივად, სისხლისსამართლებრივი სიმკაცრის სახდელი, რომელიც სადამსჯელო და რეპრესიული ფორმით გამოიყენება პრაქტიკაში.

საპროტესტო აქციის საქმეებზე მიღებული დადგენილებების ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლო ვერ ასრულებს საპროტესტო აქციების ფარგლებში სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობაზე ეფექტიანი კონტროლის ფუნქციას. სასამართლოს გადაწყვეტილებები, დიდწილად, დაუსაბუთებელი, შაბლონურია და ვერ პასუხობს მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის კრიტერიუმებს. საქალაქო/რაიონული და სააპელაციო სასამართლოები სრულად უგულებელყოფენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს. პოლიციელების ჩვენებებისთვის ავტომატური უპირატესობის მინიჭებით, შაბლონური განმარტებებითა და არაპროპორციული სახდელების დაწესებით, საპროტესტო აქციის მონაწილეების სამართლიანი სასამართლოს უფლება ყოველდღიურად ირღვევა.

ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი პრაქტიკის ხელშეწყობის ნაცვლად, ფორმალური და არაეფექტიანი სასამართლო კონტროლი კიდევ უფრო ახალისებს საპოლიციო თვითნებობასა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში დაუსაბუთებლად ჩარევის მანკიერ პრაქტიკას.

